საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

ორთხშაბათი, 3 ოქტომბერი. 2018 წ. №195 (8596) | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 60 თეთრი.

ძვირფასო მკითხველო!

დღეიდან ჩვენი გაზეთი 60 თეთრი ღირს!

ნოდარ წულეისკირი ამხელს...

ამბავი იმისა, თუ რა შავ დღეში ჰყავდათ ნაციონალებს ბიზნესმენი ზაზა ოქუაშვილი,

6

რომელიც ახლა თავის ყოფილ ჯალათს, ბოროტმოქმედ მ. სააკაშვილს გამიზნულად შეეკრა და „ოცნებას“ სამკვდრო-სასიცოცხლოდ დაუპირისპირდა

ლონდონი ამტკიცებს, რომ „რუსთავი-2“-მა და „იბერიამ“ ჩხარტიშვილის ჩანაწერი დაამონტაჟეს

3



„სტოკჰოლმის სინდრომი“ ქართულ პოლიტიკაში

4

მამუკა ბახტაძე: საქართველოს ძალიან დიდი სამეცნიერო ტრადიციები აქვს და ნამდვილად შეუძლია, იამაყოს თავისი სახელოვანი, მსოფლიოში განთქმული მეცნიერებით

2

◎ არჩევანი-არადანი

რატომ გაიმარჯვებს საპრეზიდენტო არჩევნებზე სალომე ზურაბიშვილი?

ჩვენი კორესპონდენტის ბლიცინტერვიუ პოლიტოლოგ გულბაათ რცხილაძესთან

– ბატონო გულბაათ, როგორია თქვენი შეფასება მიმდინარე საპრეზიდენტო საარჩევნო კამპანიასთან დაკავშირებით?

– მიუხედავად იმისა, რომ პრეზიდენტის თანამდებობა საქართველოს ამჟამინდელ საკონსტიტუციო სისტემაში გადამწყვეტი ფუნქციებით აღჭურვილი არ არის, მიმდინარე საარჩევნო კამპანია გამოირჩევა განსაკუთრებული აქტიურობითა და ე. წ. შავი პიარის მომძლავრებით, რომელიც სიბინძურის ზღვარზეა. ამას, ჩემი აზრით, ორი ძირითადი მიზეზი აქვს: 1. ეს არის ბოლო პირდაპირი არჩევნები პრეზიდენტისა და ამიტომ მას გარკვეული სიმბოლური დატვირთვა აქვს; 2. ყოფილი ხელისუფლება, „ნაციონალური მოძრაობისა“ და მისი სატელიტური პარტიების სახით, სერიოზულად ემზადება ხელისუფლების ცვლილებისათვის, და ეს ცვლილება მათ უნდათ 2020 წლამდე, ამიტომ თვით პრეზიდენტის შეზღუდული პოსტიც კი მათ აძლევს საშუალებას, მორალურად გატეხონ მმართველი ძალა და, ფაქტობრივად, მცოცავი გადატრიალება მოაწყონ ქვეყანაში.

იხ. 2 გვ.

მოსკოვმა სოხუმს აფხაზეთის საერთაშორისო აღიარების იმედები გადაუნურა

8

„დალისტი“ დალი!

გაგვეთი „საქართველოს რესპუბლიკა“ ხვალინდელი ნომრიდან აბრძელებს რუბრიკას – „ვაქებ ჭკუასა ბრძენთასა...“ ამჯერად მკითხველი გაეცნობა მეოცე საუკუნის უდიდეს მხატვარს, გენიალურ სალვადორ დალის.

დალი – ესპანელი!
დალი – მზისკენ ულვაშებაწკეპილი!
დალი – ხელჯოხით!
დალი – განდიდების მანიით სავსე!
ავანტიურისტი დალი!
დალი – ცინიკოსი!
დალი – ამაზრზენი!
დალი – მეხოტბე!
დალის გალა – „ქმნის ნებას “ რომ იძლევა!

ალუბლებზე აფეთქებულ მზესავით მოუთვინიერებელი სალვადორ დალი...

ღმერთისგან გაქცეული და ღმერთზე შეყვარებული კაცი, საკუთარ ბედისწერას რომ ემალებოდა მთელი სიცოცხლე და ვერ ახერხებდა...

„მწადს თუ არა, განწირული ვარ – ვიცი, ჩემი ექსცენტრიკულობა ბედის ანაბარა დამტოვებს“...

დალიც ესპანელი... პიკასოც... ორივე გენიოსი... მხოლოდ... „პიკასოც კომუნისტია... მეც – არა...“

მას მხოლოდ ორი ღმერთი სწამს – ქრისტე ზეცაში და გალა – მიწაზე...

ორივე მის ბედს განაგებს... და ორივე იმდენად მტკივნეულად უყვარს, რომ ძალა არ ჰყოფნის... გაიქცეს... დაემალოს ორ მზეს...

და დატანჯული განუწყვეტლივ უმეორებს საკუთარ თავს:

„ირუდუნე, ირუდუნე, სალვადორ!“

და რუდუნებდა...

ტანჯავდა და არ ეგუებოდა, რადგან მისი სტიქია არ იყო „შემგუებლად ყოფნა“!

აი, ასეთ არტისტს წარმოადგენს გურამ გოგიაშვილის მიერ ქართულად გადმოენებული ავტობიოგრაფიული მარგინალები – „ასე ამბობდა სალვადორ დალი“...

დალი, რომელიც გვიყვება კაცზე, „დალისტად“ რომ დაიბადა და მარადიულ „დალისტად“ დარჩა მიწაზეც და ზეცაშიც...

დავით ანდრიაძე,
ხელოვნებათმცოდნე, არტკრიტიკოსი, ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი

ირაკლი კობახიძე: დღეს ჩვენი სახელმწიფოსა და ეკლესიის უმთავრესი ამოცანაა თავისუფლების შენარჩუნება და ქვეყნის გამთლიანება

დღეს ჩვენი სახელმწიფოს და ეკლესიის უმთავრესი ამოცანაა თავისუფლების შენარჩუნება, ჩვენი ქვეყნის გამთლიანება, ჩვენი საზოგადოების ინტელექტუალური და სულიერი გაძლიერება და ამ მიზნების განხორციელებაში სასულიერო აკადემიას განსაკუთრებული როლის შესრულება შეუძლია, — ამის შესახებ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ თბილისის სასულიერო აკადემიის დაარსების 30 წლისთავისადმი მიძღვნილ საიუბილეო სხდომაზე განაცხადა.

ირაკლი კობახიძემ დამსწრეებს საიუბილეო თარიღი მიულოცა. მისი თქმით, სასულიერო აკადემიის დაარსება ეკლესიისთვის და სრულიად საქართველოსთვის ჭეშმარიტად ისტორიული მოვლენა იყო. სიტყვით გამოსვლისას, ირაკლი კობახიძემ ხაზგასმით აღნიშნა ეკლესიის აღორძინებასა და სახელმწიფოებრიობის აღდგენა-განმტკიცებაში საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ეკლესიისა და სასულიერო აკადემიის განსაკუთრებული წვლილი.

„სასულიერო სემინარია ჩვენი ეროვნული მოძრაობის გამოღვიძებასთან ერთად დაარსდა და, რა თქმა უნდა, ეს არ იყო შემთხვევითი მოვლენა და უბრალო დამთხვევა. ისტორიულად, ჩვენი ეკლესიის გაძლიერებას ყოველთვის ფეხდაფეხ მისდევდა ხოლმე ჩვენი სახელმწიფოებრიობის განვითარება, წინსვლა და ჩვენი ეკლესიისა და უწმინდესისა და უნეტარესის ძალისხმევაც ყოველთვის იყო მიმართული როგორც სამოციქულო ეკლესიის აღორძინებისკენ, ისე ჩვენი ეროვნული აღორძინებისკენ და სახელმწიფოებრივი თვითმყოფადობის უზრუნველყოფისკენ.

ეკლესიისთვის და სრულიად საქართველოსთვის სასულიერო აკადემიის დაარსება იყო ჭეშმარიტად ისტორიული მოვლენა. ეს იყო ჩვენი ეკლესიის აღმავლობის ნამდვილად განსაკუთრებული ნიშანი. ჩვენი თაობა არის ბედნიერი, რომ ვცხოვრობთ ეკლესიის აღორძინების და სახელმწიფოებრიობის აღდგენა-განმტკიცების ეპოქაში. რა თქმა უნდა, ამაში განსაკუთრებული წვლილი მიუძღვის ჩვენს დედაეკლესიას, პატრიარქს და ასევე, სასულიერო აკადემიას“, — განაცხადა პარლამენტის თავმჯდომარემ.

ირაკლი კობახიძის თქმით, დღეს სახელმწიფოსა და ეკლესიის უმთავრესი ამოცანებისა და მიზნების შესრულებაში სასულიერო აკადემიას განსაკუთრებული როლის შესრულება შეუძლია. პარლამენტის თავმჯდომარემ დამსწრეებს, აკადემიის პროფესორ-მასწავლებლებსა და სტუდენტებს საიუბილეო თარიღი კიდევ ერთხელ მიულოცა და წარმატებები უსურვა.

„დღეს ჩვენი სახელმწიფოს და ეკლესიის უმთავრესი ამოცანაა თავისუფლების შენარჩუნება, ჩვენი ქვეყნის გამთლიანება, ჩვენი საზოგადოების ინტელექტუალური და სულიერი გაძლიერება და ამ მიზნების განხორციელებაში სასულიერო აკადემიას, რა თქმა უნდა, განსაკუთრებული როლის შესრულება შეუძლია.

მინდა, გისურვოთ წინსვლა და წარმატებები ჩვენი საზოგადოების სულიერი და ინტელექტუალური გაძლიერების საქმეში“, — განაცხადა პარლამენტის თავმჯდომარემ.

მამუკა ბახტაძე: საქართველოს ძალიან დიდი სამეცნიერო ტრადიციები აქვს და ნამდვილად შეუძლია, იამაყოს თავისი სახელოვანი, მსოფლიოში განთქმული მეცნიერებით

ჩვენი სტრატეგიული მიზანია, განათლებისა და მეცნიერების სექტორი დომინანტი იყოს ჩვენს ეკონომიკაში და ჰქონდეს მინიმუმ ორნიშნა ციფრი, — ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა მამუკა ბახტაძემ რიგით 26-ე კომეტ-კოლაბორაციის საერთაშორისო ვორკშოპის გახსნისას განაცხადა, რომელსაც საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი მასპინძლობს.

პრემიერმა საქართველოს ძალიან დიდ სამეცნიერო ტრადიციებზე გაამახვილა ყურადღება და აღნიშნა, რომ ქვეყანას ნამდვილად შეუძლია, იამაყოს თავისი სახელოვანი და მსოფლიოში განთქმული მეცნიერებით.

„სასიხარულოა, რომ ქართველი მეცნიერები და ინჟინრები აქტიურად არიან ჩართული საერთაშორისო კოლაბორაციებში, სადაც მიმდინარეობს ფუნდამენტური კვლევები და თავმოყრილია თანამედროვე საინჟინრო ტექნოლოგიები, რათა გადაიჭრას როგორც ფუნდამენტური, ისე გამოყენებითი მეცნიერების ძირითადი პრობლემები. ჩვენს მთავრობას პრიორიტეტად აქვს გამოცხადებული მეცნიერებისა და თანამედროვე საინჟინრო ტექნოლოგიების განვითარება. ჩვენ ყველაფერს ვაკეთებთ, რომ შევქმნათ მაღალი დონის საგანმანათლებლო სისტემა და უზრუნველვყოთ შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის არსებობა“, — განაცხადა პრემიერ-მინისტრმა.

მაძლავრი კავშირები საქართველოს რეგიონებს შორის!

სალომე ზურაბიშვილის, როგორც პრეზიდენტის ერთ-ერთი მთავარი და მნიშვნელოვანი ამოცანა იქნება, რომ რაც შეიძლება მეტი და მძლავრი კავშირები განავითაროს საქართველოს რეგიონებს შორის, — ამის შესახებ მმართველი გუნდის წევრმა გია ვოლსკიმ ნინოწმინდაში მოსახლეობასთან შეხვედრაზე განაცხადა.

მისი თქმით, ეს არ ეხება მხოლოდ თბილისს. ეს ეხება მთელი საქართველოს რეგიონებს. „ჩვენ უფრო კარგად და სიღრმისეულად უნდა ვიცნობდეთ ერთმანეთს და ზუსტად იმ სიყვარულით უნდა გავზარდოთ ჩვენი შვილები, რა სიყვარულიც გვასწავლეს ჩვენმა მშობლებმა ერთმანეთის მიმართ. ამ სიყვარულით მოდის ქალბატონი სალომე ზურაბიშვილი და ამავე სიყვარულით უნდა დახვდეს ნინოწმინდის და ახალქალაქის მოსახლეობა“, — განაცხადა ვოლსკიმ.

მართლაც ასეა დაშტაფელებო, არავის მოუტყუებიხართ!...

რადიო მარნეულის ინფორმაციით, პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ოფისში ბრიფინფი გაიმართა.

ბრიფინგზე პარტიის წევრებმა, რომლებიც სოფელ დაშტაფას მაცხოვრებლები არიან, გამოაცხადეს, რომ პარტია „ევროპული საქართველო“ დატოვეს და „ნაციონალურ მოძრაობაში“ გადავიდნენ.

რადიოს ცნობით, იმ წევრებმა, რომლებმაც პარტია დატოვეს, განაცხადეს, რომ მათ „ევროპულ საქართველოში“ ატყუებდნენ. მათივე თქმით, მათ „ევროპული საქართველო“ და „ნაციონალური მოძრაობა“ ერთი და იგივე პარტია ეგონათ.

◎ არჩევანი-არადანი

რატომ გაიმარჯვებს საპრეზიდენტო არჩევნებზე სალომე ზურაბიშვილი?

(პირველი გვერდიდან)

— ამას რა მეთოდებით იზამენ, ეცდებიან არჩევნების გზით მიაღწიონ საწადელს თუ რაიმე სხვა მექანიზმები არსებობს?

— რომ წარმოვიდგინოთ, რომ არჩევნები ვაშაძემ მოიგო, ამას „ნაციონალები“ გამოაცხადებენ „ივანიშვილის რეჟიმის“ გაკოტრებად და სასიკვდილო დამარცხებად, შესაბამისად, ისინი უფრო მძაფრად დასვამენ ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების საკითხს. მათ პარლამენტში გაეხსნებათ „მეორე სუნთქვა“ და ამის პარალელურად, ქუჩის აქციებსაც გააძლიერებენ სხვადასხვა მოთხოვნებით. მთავრობა რთულ ვითარებაში ჩავარდება. მაგრამ **არც ვაშაძე, არც ბაქრაძე არ არიან იმდენად პოპულარულნი, რომ 50 პროცენტი გადალახოს რომელიმე მათგანმა პირველ ტურში ან მეორე ტურში გაიმარჯვოს. ამიტომ, „ნაციონალური მოძრაობა“ ეცდება, რომ ხელისუფლება დაადანაშაულოს არჩევნების გაყალბებაში, შედეგების მანიპულაციაში და ადმინისტრაციული რესურსის ტოტალურ გამოყენებაში. რა თქმა უნდა, ყველაფერი ეს ქუჩის აქციების ფონზე გაკეთდება, ეს აქციები უკვე დაწყებულია და მიზეზები არ დაილევა. ეცდებიან, თბილისს გარდა, აავჯანყონ რეგიონებიც. დიახ, ეს უნდა იქნას უიარაღო ჯანყი, და თუ გაირკვა, რომ ბევრი ხალხი გამოვიდა და აქციები წარმატებით მიმდინარეობს, საქმეში ჩაერთვება მომზადებული კადრებიც, უკრაინაში სამხედრო გამოცდილების მქონენი, რომლებიც ჯერ არ გამოაჩენენ იარაღს, მაგრამ გარკვეული მინიშნებები იქნება პოლიციის და უშიშროების მიმართ, ძალა არ გამოიყენონ, „თორემ“ ძალას ხელსუფლება ისედაც არ იყენებს, რაც კანონს სცდება, მაგრამ კანონიერი ძალის გამოყენებაც კი უკანონოდ გამოცხადდება ოპოზიციის მიერ.**

— ასეთი მძაფრი პროგნოზის საშუალებას რა გაძლევთ, ასე ჩახედული ბრძანდებით „ნაციონალების“ შიდა სამზარეულოში?

— მე უფრო ღრმად ვარ ჩახედული რუსეთის პოლიტიკური მანქანის შიდა სამზარეულოში და შემთხვევით არ გავაფრთხილე ხელისუფლებაცა და საზოგადოებაც მთლიანობაში, რომ გრიგოლ ვაშაძის საარჩევნო შტაბში რუსეთის მოქალაქეების გამოჩენა „პიარშიკების“ სტატუსით, არის ძალიან საშიში მოვლენა საქართველოსთვის. მე არ მესმის, რაში გამოიხატება ჩვენი ხელისუფლების ან ოპოზიციის შიშები, როდესაც ისინი ე. წ. „ჰიბრიდულ ომზე“ საუბრობენ, ხან „საინფორმაციო უსაფრთხოების“ აუცილებლობას შეგვახსენებენ და რუსული ტელეარხების ისევ დაბლოკვას მოითხოვენ... ეს ყველაფერი სასაცილოა იმ ფონზე, როდესაც არჩევნებში **რუსი „პიარშიკები“ მონაწილეობენ და**

გეგმავენ ოპოზიციის სტრატეგიას, იქნება ეს ქუჩის აქციები, სატელევიზიო გამოსვლები თუ საარჩევნო თემების განსაზღვრა. ბოლოს და ბოლოს, „პიარშიკი“ რუსეთის მოქალაქეები პირდაპირ ღებულობენ უამრავ ინფორმაციას ჩვენი ქვეყნის შიდა პოლიტიკურ სამზარეულოზე, რადგან ისინი უამრავ მასალას ეცნობიან ადგილზე და უამრავ პოლიტიკოსს ხვდებიან... მე განგებ ვამბობ ნეიტრალურად, „რუსეთის მოქალაქეები“, თორემ შეგახსენებთ, რომ ვაშაძის შტაბში არიან ვლადიმირ პუტინის ნათლულის ქსენია სობჩაკის შტაბის წევრები — ვიტალი შკლიაროვი და მაქსიმ კაცი, რომელთაგან ერთი ბიძინა ივანიშვილის „რეჟიმის დასრულებაზე“ საუბრობს ღიად, მეორე კი დამცინავად, „სრაჩკის“ მოწყობას აპირებს თბილისში. მე არ მესმის, საით იყურებიან ჩვენი სამართალდამცავი ორგანოები, იმედია, რომ გააქტიურდებიან.

— და მაინც, როგორ განვითარდება მოვლენები, თქვენი პროგნოზი რა არის?

— ვფიქრობ, რომ გულგატეხილი მოსახლეობის მხრიდან დიდი აქტიურობა არ იქნება არჩევნებზე, ხმის მისაცემად მოვა დაახლოებით 60 პროცენტი ამომრჩევლებისა, თუმცა, შესაძლოა, საარჩევნო სიების არარეალურობის გამო სხვა პროცენტი გამოჩნდეს. ასევე ვფიქრობ, რომ არჩევნებზე რეალურად სალომე ზურაბიშვილი გაიმარჯვებს, პირველში თუ არა, მეორე ტურში მაინც — რა თქმა უნდა, თუკი მანამდე არ მისცეს საშუალება „ნაციონალებს“, რომ არიონ სიტუაცია და ჩაშალონ არჩევნები. **ქ-ნი სალომე კი იმიტომ გაიმარჯვებს, რომ იგი არის ერთადერთი ქარიზმატული პოლიტიკოსი საპრეზიდენტო პოსტზე კანდიდატ პოლიტიკოსებს შორის. მას აქვს თავისებური ადამიანური შარმიც, არ არის ვაშაძესავით და ბაქრაძესავით ხელოვნური, მოსაწყენი და უფერული. მისი ფრანგული აქცენტი უპირატესობაც არის ამ შემთხვევაში, მას უფრო მეტ ევროპულ „ფლერს“ სძენს. ქ-ნ სალომეს შეუძლია ხალხთან პირდაპირი საუბარი, პოლემიკაც, იგი არ გაურბის რთულ შეკითხვებს. ბიძინა ივანიშვილის დახმარებასთან ერთად, ეს ფაქტორები გადამწყვეტ როლს შეასრულებს. მაგრამ, ვიმეორებ, მოდუნების დრო არ არის, ოპოზიცია სერიოზულად ემზადება რუსი კონსულტანტების დახმარებით!**

ლონდონი ამტკიცებს, რომ „რუსთავი-2“-მა და „იბერიამ“ ჩხარტიშვილის ჩანაწერი დაამონტაჟეს

ლონდონის ერთ-ერთმა საექსპერტო ბიურომ დადო დასკვნა, რომ „იბერიასა“ და „რუსთავი-2“-ის ეთერში ვანო ჩხარტიშვილის შესახებ გავრცელებული ჩანაწერები მონტაჟია. ვანო ჩხარტიშვილის ადვოკატმა ექსპერტისგან მიიღო დასკვნა, სადაც წერია, რომ ჩანაწერები, რომელიც „იბერიამ“ და „რუსთავი-2“-მა გაავრცელა, ხელით არის მანიპულირებული, გადაკეთებული და დამონტაჟებული.

შესაბამისად, ზაზა ხატიაშვილი ტელეკომპანიებს — „იბერიას“ და „რუსთავი-2“-ს ვანო ჩხარტიშვილისთვის ბოდიშის მოხდისკენ მოუწოდებს. ბიზნესმენის ადვოკატი ასევე გეგმავს, რომ ექსპერტიზის დასკვნა პროკურატურას გადასცეს, რათა უწყებამ დაადგინოს, ვინ და როგორ დაამონტაჟა აღნიშნული ჩანაწერი. ის ასევე მოუწოდებს შესაბამის ორგანოებს, დაადგინონ და გამოიკვლიონ, ვინ მფარველობდა ზაზა ოქუაშვილს სამი წლის განმავლობაში, როდესაც მან ბიუჯეტში თანხები არ გადაიხადა.

ჩხარტიშვილის ადვოკატი აცხადებს, რომ ტელეკომპანიების ეთერში გასული სიუჟეტები ვანო ჩხარტიშვილთან მიმართებაში არ შეესაბამება სინამდვილეს და ეს იყო მონტაჟი. სწორედ აღნიშნული ფაქტის დასადასტურებლად მიმართეს ლონდონის ყველაზე ცნობილ საექსპერტო ბიუროს. ექსპერტიზა ჩაატარა ერთ-ერთმა ყველაზე ცნობილმა ექსპერტმა — ბეიკერმა.

„ჩემი პროფესიული დასკვნით, სამივე ჩანაწერზე, ამ სფეროში მოღვაწე სტანდარტული შემოწმებისა და გამოკვლევის ჩატარებით, აღმოვაჩინე იმის დამადასტურებელი მტკიცებულება, რომ ჩანაწერები ხელით არის მანიპულირებული, გადაკეთებული და დამონტაჟებული. ჩემი დასკვნა მდგომარეობს იმაში, რომ სამივე ჩანაწერი იძლევა ძალიან მყარ საფუძველს, რომ აუდიოჩანაწერებზე აღინიშნება წყვეტა“, — წერს ბეიკერი ექსპერტიზის დასკვნაში.

როგორც ზაზა ხატიაშვილი აცხადებს, დაცვის მხარემ გააგზავნა სამი ფაილი, სადაც ფიგურირებდა ვანო ჩხარტიშვილი.

„პირდაპირ სურათები გამოაგზავნა ბეიკერმა, სადაც აღნიშნულია, სად ხდება მონტაჟი. მესამე ჩანაწერზე ფიქსირდება სკანდალური ფაქტი — ორწუთიან და ექვსწამიან მონაკვეთში დაფიქსირებულია ექვსი მონტაჟი და შვიდი სხვადასხვა საუბრის გაერთიანება. ეს არის, ჩემი აზრით, უპრეცედენტო სიბინძურე, რომელსაც ქართულ მედიაში ანალოგი არ ჰქონია. ეს რომ მე სამხარაულში შემეკვეთა, ვიტყოდი, გარკვეულწილად სამხარაულმა გასცა არასწორი დასკვნა, მაგრამ ეს არის მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი ექსპერტიზის ბიურო“, — აცხადებს ზაზა ხატიაშვილი.

გარდა ამისა, როგორც ხატიაშვილი აცხადებს, მას ასევე ოთხ სხვადასხვა გავლენიან ექსპერტიზის ბიუროში აქვს შეკვეთილი უფრო დეტალური ექსპერტიზა. დეტალური დასკვნის გამოქვეყნებამდე ხატიაშვილი ტელეკომპანიებისგან ბოდიშის მოხდას ითხოვს.

„მინდა, მოგმართოთ ორ ტელეკომპანიას, რომელთა მაყურებელი მეც გახლავართ, „იბერიას“ და „რუსთავი-2“-ს, ამ ექსპერტიზის დასკვნის შემდეგ თქვენ უნდა მოუხადოთ ბოდიში ვანო ჩხარტიშვილს, რომ გაავრცელეთ ინფორმაცია, რომელიც შეიცავდა მისი პატივისა და ღირსების შემლახავ ინფორმაციას“, — აცხადებს ზაზა ხატიაშვილი.

უახლოეს დღეებში განცხადების გაკეთებას გეგმავს „ომეგა ჯგუფის“ საქმეზე სკანდალური აუდიოჩანაწერების მთავარი ფიგურანტი ლევან ყიფიანი, რომელიც დეტალურად ისაუბრებს გავრცელებულ სკანდალურ აუდიოჩანაწერზე, სადაც ისმის, რომ ლევან ყიფიანს ერთ-ერთ სარდაფში ოთარ ფარცხალაძის თანდასწრებით სცემეს და გაუპატიურებით დაემუქრნენ. როგორც ყიფიანის ადვოკატი აცხადებს, არის უამრავი დეტალები, სადაც ამოჭრილი და კონტექსტიდან იქნა ამოგდებული ფრაზები.

„ჩვენ არ გვინდა, ამ რაღაც გაუგებრობაში ამოვყოთ თავი. ამიტომ, ვფიქრობთ, რომ ერთობლიობაში რამდენიმე დღეში, არ გამოვრიცხავ, ხვალ-ზეგ, გავაკეთებთ საკმაოდ მნიშვნელოვან განცხადებას“, — აცხადებს შალვა ხაჭაპურიძე.

მიუხედავად იმისა, რომ ლონდონის ერთ-ერთმა საექსპერტო ბიურომ დადო დასკვნა, რომ „იბერიასა“ და „რუსთავი-2“-ის მიერ გავრცელებული ჩანაწერი მონტაჟია, ტელეკომპანიები პარალელურ რეჟიმში ავრცელებენ აუდიოჩანაწერებს. ამჯერად, „კურიერმა“ „სანდო წყაროზე“ დაყრდნობით გაავრცელა აუდიოჩანაწერი, რომლითაც დასტურდება, რომ „თიბისი ბანკიდან“ 4 მილიონის გატანის ოპერაციაში უშუალოდ ჩართულები იყვნენ შს მინისტრი, გიორგი გახარია, რომელიც მაშინ ბიზნესომბუდსმენი იყო და ყოფილი მთავარი პროკურორი ოთარ ფარცხალაძე.

თამთა ძარჩავა

ვანო მერაბიშვილს ცოდვებმა უნია....

სპეციალური პენიტენციური სამსახური ყოფილი პრემიერ-მინისტრის ვანო მერაბიშვილის კლინიკაში გადაყვანასთან დაკავშირებით განცხადებას ავრცელებს.

„2018 წლის 26 სექტემბერს კლინიკა „ავერსში“ ჩატარებულმა გამოკვლევებმა აჩვენა, რომ ჩატარებული მკურნალობის შედეგად, ჰორნერის სინდრომის დაავადება რეგრესირებს და, როგორც მსჯავრდებული ექიმებთან თავადვე ადასტურებს, 2 კვირაა, რაც მისი მდგომარეობა საგრძნობლად გაუმჯობესდა როგორც სუნთქვის პრობლემების, ასევე თვალის ლორწოვანის ჰიპერემიისა და ქუთუთოს შეშუპების მხრივ.

საზოგადოებას შევახსენებთ, რომ 26 სექტემბერსა და მანამდე ჩატარებული მრავალი კონსულტაციისა და სხვადასხვა სამოქალაქო კლინიკაში მაღალტექნოლოგიური კვლევების შედეგად, სრულად გამოირიცხა ორგანიზმში სიმსივნური პროცესი, რაც ზოგჯერ ჰორნერის სინდრომის ერთ-ერთ მიზეზად ვლინდება, ასევე გამოირიცხა ჰორნერის სინდრომის ისეთი მიზეზები, როგორიცაა ფარისებრი ჯირკვლის, გულ-სისხლძარღვთა პრობლემები და სხვა. მედიკოსთა აზრით, სახეზე არც ინტოქსიკაცია არა არის და პაციენტი ამ მხრივ არავითარ დამატებით კვლევას არ საჭიროებს.

სხვადასხვა სამოქალაქო კლინიკის ყველა ექიმის საერთო აზრით, მსჯავრდებულს მხოლოდ სჭირდება, არ შეწყვიტოს ის მკურნალობა, რაც დაენიშნა, რაზეც სამედიცინო პერსონალი დაკვირვებას აგრძელებს. თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ დანიშნული მკურნალობის შედეგად დაავადება და სიმპტომები რეგრესირებს და ექიმები დამატებით ანალიზებს საჭიროდ არ თვლიან, სპეციალურმა პენიტენციურმა სამსახურმა მიიღო გადაწყვეტილება მსჯავრდებულის ადვოკატების მხრიდან გამოთქმული ბოლო ეჭვის გაბათილების მიზნით, რომელიც ინტოქსიკაციას უკავშირდება, ვანო მერაბიშვილის კლინიკაში „მედიქლაბი“ გადაყვანის შესახებ. მას ჩაუტარდება ტოქსიკოლოგის კონსულტაცია, მოხდება იმ მძიმე მეტალების იდენტიფიკაცია, რომელზეც მედიკოსთა აზრით მიზანშეწონილია ანალიზების ჩატარება როგორც საქართველოში, ისე საზღვარგარეთ. შედეგად, საბოლოოდ, დოკუმენტურად გამოირიცხება ის ეჭვიც, რომელიც ამ ეტაპზე მხოლოდ მსჯავრდებულის ადვოკატებს აქვთ.

სპეციალური პენიტენციური სამსახური მოუწოდებს მსჯავრდებულის ადვოკატებს, დაიცვან პაციენტის უფლებები და პატივი სცენ მაღალკვალიფიციური სამედიცინო პერსონალის მოსაზრებებსა და დასკვნებს“, — ნათქვამია განცხადებაში.

ხორავას საქმის ადვოკატები ბრიტანელი ექსპერტების დასკვნას რამდენიმე დღეში მიიღებენ

ხორავას ქუჩაზე მომხდარი მკვლელობის საქმეზე ერთ-ერთი მსჯავრდებულის გ.ჯ.-ს ადვოკატი ტარიელ კაკაბაძე აცხადებს, რომ რამდენიმე დღეში ბრიტანელი ექსპერტების დასკვნას მიიღებენ, რომელსაც სააპელაციო სასამართლოში წარადგენენ.

„როგორც ჩვენთვის ცნობილია, დღეს ბრალდების მხარე აპირებს ახალი მტკიცებულებების თაობაზე შუამდგომლობის დაყენებას. კონკრეტულად, აპირებენ ახალი მტკიცებულებების დართვა მოითხოვონ კონკრეტული სისხლის სამართლის საქმეზე.

ჩვენ გავეცნობით ამ შუამდგომლობას, ახალ მტკიცებულებებს და შემდეგ ჩამოვაყალიბებთ ჩვენს პოზიციას.

რაც შეეხება დაცვის მხარის მტკიცებულებებს, მინდა, მოგახსენოთ, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოში წარვადგენთ ახალ მტკიცებულებას, რომელიც ექსპერტიზის დასკვნას შეეხება, სადაც პასუხები იქნება გაცემული იმ უმნიშვნელოვანეს კითხვებზე, რომელიც საზოგადოებას აინტერესებს. აქ იქნება საუბარი დანების, სხვადასხვა საგნების, ჭრილობების რაოდენობაზე, ლოკალიზაციაზე და ა.შ. აღნიშნული მტკიცებულება იქნება გადამწყვეტი მოცემულ საქმეზე ჭეშმარიტების დასადგენად. აღნიშნული ექსპერტიზის დასკვნა უახლოეს დღეებში გვექნება. როგორც კი ამ დასკვნას მივიღებთ, მაშინვე წარვადგენთ თბილისის სააპელაციო სასამართლოში.

ასევე, დავაყენებთ შუამდგომლობას დაკითხული იქნენ ის ექსპერტები, რომლებმაც ჩაატარეს ექსპერტიზა. ისინი მათ მიერ ჩატარებულ ექსპერტიზას დაადასტურებენ და უპასუხებენ ყველა იმ შეკითხვას, რომელიც დაცვის, ბრალდების მხარეს და სასამართლოს ექნება“, — აცხადებს კაკაბაძე.

თავი ხომ არ სტკივა ვანოს? რა შეწყალება, რის შეწყალება, ეგ მთელი ცხოვრება უნდა იჯდეს!

„თავი ხომ არ სტკივა ვანოს? ანალგინი ხომ არ გავუგზავნოთ ან ციტრამონი? მე შემიძლია გავუგზავნო. რა შეწყალება, რის შეწყალება, ეგ მთელი ცხოვრება უნდა იჯდეს“, — ამის შესახებ „პატრიოტთა ალიანსის“ წევრმა ადა მარშანიამ საქართველოს ყოფილი პრემიერის ვანო მერაბიშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობასთან დაკავშირებით განაცხადა. მისი თქმით, გასარკვევია არა მერაბიშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობა, არამედ ის, თუ რატომ არის ყოფილი პრემიერი ციხეში „განსაკუთრებულ პირობებში“.



„სტოკჰოლმის სინდრომი“ ქართულ პოლიტიკაში

„სტოკჰოლმის სინდრომი“ — სიმპათიისა და მიზიდულობის პარადოქსული რეაქცია, რაც მსხვერპლს აგრესორის მიმართ ახასიათებს.

საოცარია, მაგრამ დღეს ქართული პოლიტიკური სივრცის საკმაოდ დიდი ნაწილი, სწორედ „სტოკჰოლმის სინდრომითაა“ შეპყრობილი.

აბა სხვა რა უნდა ვუწოდო, ვთქვათ, მურმან დუმბაძის „პავლესგან სავლედ“ გარდასახვას? იმ მურმან დუმბაძისა, რომელიც მათ, ვინც 2012 წელს არჩევნებზე ხუთიანს შემოხაზავდა, ხელი გაუხმებოდა.

სამწუხაროდ, მსგავსი მაგალითები უამრავია, რასაც გარდა პოლიტიკურ „წყალში ტივტივისა“, პოლიტიკური პროსტიტუციის“ სუნიც დაჰკრავს.

„სტოკჰოლმის სინდრომის“ ერთ-ერთ გამოხატვად შეიძლება აღვიქვათ „ომეგა ჯგუფისა“ და სააკაშვილის „ჩახუტება“. იმ სააკაშვილის, რომელმაც თავისი ზეობის პერიოდში დაარბია ეს ბიზნეს-კომპანია და დახურა ამ ჯგუფის კუთვნილი ტელეკომპანია „იბერია“.

როგორც წესი, ქართული საპრეზიდენტო არჩევნების წინასაარჩევნო პერიოდი, წესიერი, დემოკრატიული, ცივილიზებული წინასაარჩევნო პერიოდისგან, 180 გრადუსითაა შებრუნებული, რაც რევანშისტებმა „წარმატებით“ განახორციელეს და იმის ნაცვლად, რომ კანდიდატები და მათი მხარდამჭერები ელექტორატს თავიანთი გეგმების შესახებ ესაუბრონ და ნორმალური, დემოკრატიული მეთოდებით მოიპოვონ მათი მხარდაჭერა, მოწინააღმდეგეზე ყოვლად ბინძური პიარ-კამპანიით ცდილობენ ფონს გასვლას.

ერთ-ერთი ასეთი გამოხდომა, ნაციონალური მოძრაობის პროპაგანდის განყოფილებაში, ანუ ტელეკომპანია „რ2“-ში გასული ფარული ჩანაწერების სერიალი იყო, რომელმაც საოცრად ფართო მასშტაბები მიიღო და არა მხოლოდ მმართველი ძალის წინააღმდეგ იყო მიმართული, არამედ სხვა პოლიტიკურ ძალებსაც ესროლეს ტალახი.

საბედნიეროდ, მათი „ქიჩმაჩი“ საზოგადოების მხრიდან სწორად იქნა შეფასებული და არა მხოლოდ სოციალურ ქსელში, არამედ პირად საუბრებშიც ადეკვატური რეაქციები გამოიწვია.

არ მოვყვები ამ „აუდიო სერიალში“ განვითარებულ პერიპეტიებს. არ მოვყვები, რადგანაც მმართველმა ძალამ შესაბამისი განცხადება გააკეთა, გამოძიება დაწყებულია და დარწმუნებული ვარ, რომ ყველა ქვასროლიას შესაბამისი პასუხი გაეცემა.

უბრალოდ, მინდა ჩემი მოსაზრება გაგაცნოთ იმ გეგმის ერთი ნაწილის შესახებ, რომელიც საქართველოზე და კონკრეტულად საარჩევნო პროცესზე გარკვეული ზემოქმედების მოხდენის მიზნით განხორციელდა.

ამ რამდენიმე თვის წინათ ტელეკომპანია „იბერიაში“ საკმაოდ უცნაური ცვლილებები განხორციელდა. დაიხურა რამდენიმე საინტერესო და რეიტინგული გადაცემა, რომელთა წამყვანები საზოგადოებაში მაღალი ნდობით სარგებლობდნენ, ჩანაცვლდნენ ისეთი „ტიპებით“, რომლებიც მუდამ ითვლებოდნენ ნაციონალური მოძრაობის ბინძური საქმეების „გამპრავებლებად“ და მათ იდეურ მხარდამჭერებად. მაგალითად, აკაკი გოგიჩაიშვილი, რომლის გამოჩენამ ამ მართლაც და კარგ ტელეკომპანიაში, მრავალი შეკითხვა და ეჭვი გაჩინა.

გარკვეული დროის შემდეგ „აღმოჩნდა“, რომ „ომეგა ჯგუფს“, რომელიც ამ ტელეკომპანიის დამფუძნებელია, ბიუჯეტის წინაშე საკმაოდ დიდი დავალიანება (51 მილიონი ლარი) აქვს და ასევე „აღმოჩნდა“, რომ დავალიანების გადახდის მოთხოვნა ჟურნალისტურ საქმიანობაზე ზეწოლა და თავისუფალ მედიაზე განხორციელებული თავდასხმა ყოფილა.

სწორედ ამ დროს დაიწყო ის „აუდიოსერიალი“, რომელიც ყველას გვაქვს მოსმენილი.

ცხადია ამ „სერიალმა“ ბევრი შეკითხვა გააჩინა, მაგრამ უმთავრესი შეკითხვა იყო ის, თუ რა საჭირო იყო იმ ფარული ჩანაწერების შენახვა და შემდეგ სერიალად გაშვება? რატომ არ გახმიანდა ეს ფაქტი პარლამენტის ტრიბუნიდან და რატომ არ გადაეცა „მოპოვებული“ მასალები პროკურატურას?

სამწუხაროდ, ამ კითხვებზე ერთი პასუხია: ეს ყველაფერი წინასწარ იყო დაგეგმილი და პერმანენტულად ხორციელდებოდა.

არჩევნების მოახლოებისთანავე, როდესაც ისეთი პოლიტიკური პარტიის მხარდაჭერას, როგორიც „საქართველოს პატრიოტთა ალიანსია“, საკმაოდ დიდი მნიშვნელობა აქვს (თუნდაც იმის გამო, რომ ამ პარტიას საკუთარი კანდიდატი არ ჰყავს და მათი აქტიურობა სააკაშვილ-ბოკერიას რეჟიმის გასამართლების მოთხოვნით, უკვე გადამწყვეტ ფაზაში შევიდა), ექმნება ხელოვნური და ფაქტობრივად თითიდან გამოწოვილი პრობლემა — ფრაქცია „პატრიოტების“ წევრი, „ომეგა ჯგუფის“ დამფუძნებელი ნატო ჩხეიძე ტოვებს ფრაქციას, სადაც ხუთი წევრი რჩება, რითიც ფრაქციის არსებობას სერიოზული საფრთხე ექმნება, ხოლო პარტიას გარკვეული სახის პრობლემები, რაც საარჩევნო პერიოდში მათ აქტიურობაზე უეჭველად აისახება.

მოკლედ რომ ვთქვა, ფრაქციიდან ნატო ჩხეიძის გასვლა იყო მცდელობა, რომ „პატრიოტთა ალიანსი“ გამოთიშულიყო აქტიურ პოლიტიკურ პროცესებს, რადგანაც ისინი ფრაქციის გაუქმების წინაშე დგებოდნენ, ხოლო ეს „სერიალი“ და საგადასახადო შანტაჟი საკმაოდ დიდი ხნის წინათ იყო დაგეგმილი და განხორციელდა (შეიძლება, ბრჭყალებიც დავსვა სიტყვა — განხორციელებასთან) ნაციონალური მოძრაობის და მისი პროპაგანდის განყოფილების მეშვეობით.

მარტივი შედარებისთვის ვიტყვი, რომ „ობიექტივი“ არასდროს არ მივიდოდა არამც თუ „რ2“-ში, არც ერთ ტელეკომპანიაში უკაცრავად ამ ფრაზისთვის — მათხოვრულად (გაბუნიამ თავის გადაცემაში, როცა „იბერიას“ ჟურნალისტები ჰყავდა მიწვეული, რამდენჯერმე ხაზი გაუსვა იმას, რომ „იბერია“ სუსტი და, ფაქტობრივად, საწყალი მედიასაშუალებაა).

ირმა ინაშვილმა სხვადასხვა განცხადებებით საკმაოდ დელიკატური პასუხი გასცა ზაზა ოქუაშვილის მიერ ნათქვამ ფრაზებს, „პატრიოტთა ალიანსის“ დაფინანსების მოთხოვნაზე და ამას აღარ გავიმეორებ, მაგრამ აუცილებლად მინდა მოვიყვანო ამონარიდი ქალბატონი ირმას ერთი განცხადებიდან: **მთავარი აქცენტი, რასაც ქალბატონი ნატო ჩხეიძე „პატრიოტთა ალიანსის“ მისამართით აკეთებს, ეს არის არასათანადო მხარდაჭერა და დუმილი. ისევ ვიმეორებ: ჩვენ არაფერი ვიცოდით იმის შესახებ, რაზეც საუბრობს ბატონი ზაზა და არც არაფერი ვიცით დღემდე. არ ვიცოდით, რაც 2 წლის წინათ, 1 წლის წინათ, გუშინ ან გუშინწინ იყო და არაფერი ვიცით იმაზე, რა იქნება ხვალ. არც ქალბატონ ნატოს და არც ბატონ ზაზას ჩვენ არც ერთხელ არ ჩავუყენებივართ საქმის კურსში და ამას ისინი თავადაც არ უარყოფენ.**

* * *

ქალბატონ ნატოსაც და ბატონ ზაზასაც ვეუბნები: არაფრის საქმის კურსში არ გვაყენებდით და გვაყენებთ, ჩვენთან ერთად არანაირ მოქმედებას არ გეგმავდით და არ გეგმავთ, პირიქით, ჩვენს მტრებთან ერთად იწყებთ ბრძოლას და ამ ვითარებაში, განა, დუმილი ყველაზე ზნეობრივი ქმედება არ არის? ჩვენ რომ ნაცმოძრაობის თანამებრძოლები ვერასდროს გავხდებით.

* * *

ქალბატონო ნატო, ჩვენი პარტიის დაფინანსება ბატონი ზაზასთვის არავის მოუთხოვია და არც თქვენთვის უთქვამთ ვიღაცა ძალოვან მაღალჩინოსნებს, — გინდათ, „პატრიოტთა ალიანსში“ იყავით და გინდათ — „ქართულ ოცნებაშიო“. არავითარი სხვა მიზანი და მიზეზი ამ პოსტს არა აქვს. ჩვენ არანაირი შეხება არ გვქონია და არ გვაქვს იმ მოვლენებთან, რაზეც ბატონი ზაზა საუბრობს. **თქვენც არ ჩაგიყენებივართ საქმის კურსში და ბატონი ზაზას და თქვენი გამონათქვამები ვიღაცამ შეიძლება ჩვენს საზიანოდ აღიქვას და გამოიყენოს. არ შეიძლება, თქვენ ეს არ გესმოდეთ.**

რაც შეეხება საპარლამენტო უმრავლესობის პოზიციას, უბრალოდ ვიტყვი, რომ ძალიან გავოცდი, როცა ვუსმენდი ფრაგმენტებს საქართველოს უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს ბიუროს სხდომიდან, სადაც პარლამენტის თავმჯდომარე და უმრავლესობის ერთ-ერთი ლიდერი სხვადასხვა უმძიმეს დანაშაულში სდებდნენ ბრალს საპარლამენტო უმცირესობის წევრებს.

კინოფილმ „დარიკოს“ ერთი ფრაგმენტი გამახსენდა, სადაც მოხუცი კაცი ხელისუფლების წარმომადგენელს მიმართავს — ჯარიც თქვენია, ჩაფარიც, თოფიც და ჟანდარმიც, ჰოდა, მე ამ ჯოხით სად ვსდიო დარიკოს?

პროკურატურაც თქვენია, შსს-ც და საკანონმდებლო ორგანოც. ჩვენი დაფინანსებული ტელევიზიაც გაქვთ და ათასი რამ, ჰოდა, ჩვენ რას გვეარშიყებით?

თქვენ ხართ კოჰაბიტაციაში მაგათთან, თქვენ გამოუშვით 48 მილიონის ქურდი უგულავა (ახლა არ დამიწყოთ — კანონით ეკუთვნოდაო), თქვენ გიზით გვერდით და საქართველოს კანონმდებლად სულხან მოლაშვილის მაწამებელი ბოკერია, თქვენს მინისტრებს ცილს სწამებენ (როგორც ამბობთ) ვიღაც თაღლითები, დ.ა.შ.

ხომ არ გეუბნებით დუბინკები ჩასცხეთ თავშიო?

გამოიძიეთ ისე, როგორც უნდა გამოიძიოს ნამდვილმა დემოკრატიულმა, კანონმორჩილმა ხელისუფლებამ და არ მოგიწევთ ვიგინდარეგთან პინგ-პონგის თამაში.

აღარ გვჯერა ამ სატელევიზიო „ფრთიანი ფრაზებისა“.

ეგაა და ეგ!

გია გაბრიჭიძე

არაადეკვატური ქარაქუცა მიშა უცხოეთიდან იმუქრება

„მე მინდა ივანიშვილს ვუთხრა იგივე რამე, რაც ვუთხარი ედუარდ შევარდნაძეს 2003-ში — თუ ივანიშვილს უნდა მიღება რევოლუციის, ის მიიღებს რევოლუციას, — ასე გამოეხმაურა მიხეილ საკაშვილი „რუსთავი-2“-ის ეთერში პარლამენტის თავმჯდომარის განცხადებას, რომ „ქართულმა ოცნებამ“ 6 წლის წინ დაადუმა „ნაციონალური მოძრაობა“ და 28 ოქტომბერს საბოლოოდ დაასრულებს მას.

„ტყუილად ჰგონია მას, ამ ჯიბიდან გავარდნილ ჯიბგირს, რომ შევარდნაძე სუსტი იყო და მე ისეთი თავზეხელაღებული ვარ, რომ ფარცხალაძე მყავს, კარიკატურა-რეპტილია გახარია მყავს, ის კულულებიანი ბიჭი, რა ჰქვია პარლამენტის თავმჯდომარეს, ის მყავს, უტიფრების მთელი არმია მყავს და მე მაინც შევარდნაძისგან განსხვავებით... შევარდნაძე იყო ბევრად მაგარი, ვიდრე ესენი, ჯიბეში ჩაისვამდა ამათ ყველას, შევარდნაძესაც კარგად ვიცნობდი და ამათაც კარგად ვიცნობ. შევარდნაძე იყო ბევრად მაგარი, შევარდნაძემ იცოდა ყველაფერი და შევარდნაძემ ბოლოს მიიღო ის, რაც მიიღო. თუ ესენი არ აღიარებენ დამარცხებას 28-ში, ქართველი ხალხი მათ ბევრად უფრო ცუდად მოექცევა, ვიდრე ჩვენ მოვექეცით შევარდნაძეს, იმიტომ, რომ ეს ჩემი გადასაწყვეტი აღარ იქნება და ხალხს წინ ვერაფერი დაუდგება“, — თქვა სააკაშვილმა.

ვინ იქნება „თბილისის საპატიო მოქალაქე“?

რამდენადაც ცნობილია, მერიაში კახი კალაძის თავმჯდომარეობით შექმნილია კომისია, რომელიც განიხილავს თბილისის საპატიო მოქალაქის წოდებისთვის წარდგენილ კანდიდატურებს.

ძალიან საინტერესოა, ვინმე რამეს ეკითხება ამ კომისიის წევრებს? თუ ეკითხება – სუპერ, ხომ კარგი და სასიამოვნო. მაშინ ერთობ საინტერესოა, თუ ვინ არის ამ კომისიაში, როგორი განხილვის შედეგად წყდება ეს ფაქიზი საკითხი? რამდენად ავტორიტეტულნი არიან, როგორ იცნობენ თბილისს, მის წარსულს, იმ ადამიანებს, რომლებსაც მართლა დიდი ღვაწლი მიუძღვით დედაქალაქისა და საქართველოს წინაშე.

კომისიის ერთი წევრი გავიგე, ვინც არის – ცნობილი მხატვარი, თავად ღირსეული პიროვნება და მოქალაქე მურაზ მურვანიძე... მას მართლა არაფერი შეეშლება.

ერთის გვარიც გავიგე, აქამდე ჩემთვის პატივსაცემი ქალბატონია...სხვების რა მოგახსენოთ, არ ვიცი, არ გამიგია მათ შესახებ არაფერი, მით უმეტეს, ჩვენი სააგენტო „რეპორტიორი“ სისტემატურად აშუქებს ქალაქის ცხოვრებას, მხარს უჭერს სასიკეთო საქმეებს, თვალს არ ხუჭავს ნაკლზეც.

ადრე კომისიის წევრი იყო დიდი ნონა გაფრინდაშვილი. იყო!!!

ასევე, იყო საზოგადოება „თბილისელის“ თავკაცი ირაკლი მეძმარიაშვილი. იყო(!!!)

ასევე, კულტურის ფონდის ხელმძღვანელი, „მოწამლული“ ქალაქელი თამაზ შილაკაძე. იყო(!!!)

ამ კომისიის წევრები ასევე, იყვნენ სხვა ღირსეული თბილისელები(!!!)

ახლა? ეგებ გასაჯაროვდეს ვინაობა კომისიის წევრებისა, როგორია მათი ავტორიტეტი, ასაკი, პროფესია, რას საქმიანობენ, რა დამსახურების ხალხია...

მართლა საინტერესოა, ვინ უმზადებს ქალაქის მერს (ან, „სხვა უზენაესს“) წინადადებებს, რეკომენდაციებს. ბუნებრივია, ჩვენმა მზარდმა მერმა, რომელმაც კარგად იცის ფეხბურთი, შესანიშნავად იცნობს კიევს, მილანს, შესაძლოა, ბოლომდე არ იცოდეს თბილისის წარსულთან დაკავშირებული ყველა პერიპეტია... ეს შეკითხვები სხვისი მისამართითაც შესაძლოა, დაისვას. ბუნებრივია, ამაში ცუდს, საქილიკოს ვერაფერს ვხედავ.

ჰოდა, ძალიან, ძალიან მაინტერესებს ამ საპატიო წოდების მინიჭებასთან დაკავშირებული ტექნოლოგიები, კრიტერიუმები, გადაწყვეტილების მიმღები პიროვნებები. არც ის იქნებოდა ურიგო, თბილისის მოსახლეობას წინასწარ სცოდნოდა, ვინ, რამდენ მოქალაქეს უწევენ რეკომენდაციას ამ წოდებაზე და, საბოლოოოდ, სასიამოვნო სიურპრიზი გასაჯაროვდეს თბილისობაზე. ეს საჯაროობა, ბატონო კახა, თავიდან აგაცილებთ ბევრ უხერხულობას. თანაც, ჩვენ სასიამოვნოდ შევეჩვიეთ თქვენს „პიარნაბიჯებს“, თქვენს სიარულს ქუჩაში, მეტროში, ბაზრობებზე... ჩინებულ შთაბეჭდილებას ტოვებს თქვენი გემოვნებიანი ჩაცმულობა, მოვლილი გარეგნობა. დამიჯერეთ, ამ მიმართულებით მცდელობის მეათედიც კი, რომელსაც „დაახარჯავდით“ საპატიო თბილისელების გამოსარჩევად, ასჯერ და ათასჯერ პატივისცემით შემოგიტრიალდებოდათ თქვენვე. ესეც ისეთი საჭოჭმანო საკითხი არ არის, როგორც კანაფის პლანტაციების გაშენება-არგაშენების პრობლემა.

ისე, კია უპრიანი, ამ საქმეში ჩართონ ის ადამიანები, რომლებიც იდგნენ „თბილისობის“ დაფუძნების და „საპატიო თბილისელის“ წოდების შემოღების სათავეებთან. მაგალითად, ქალაქის ყოფილი თავკაცები ნიკო ლეკიშვილი და ზაურ მესხიშვილი. სხვებიც, ერთობ დამსახურებული და გამოცდილი, უანგარო და თბილისზე თავდავიწყებით შეყვარებული ადამიანები...

ისე, სხვათაშორის, ბატონო კახა, სულაც არ იქნებოდა ურიგო, ამ დამსახურებული პერსონებისთვისაც მიგენიჭებინათ ეს საპატიო წოდება, ანუ, გამოგეხატათ წინამორბედებისადმი პატივისცემა და მადლიერების გრძნობა. ეს თქვენც წაგადგებოდათ, მით უმეტეს, მაშინ როცა... აღარ იქნებით ქალაქის მერი.



ნუგზარ ფოფხაძე

ბულვარში მასშტაბური გამწვანებითი სამუშაოები დაიწყო

ბათუმის ბულვარში საშემოდგომო დარგვების ფარგლებში, „აგრონომიული და ლანდშაფტური დიზაინის“ სამსახურის მიერ, სეზონურად მოყვავილე შემოდგომა-ზამთრის ერთწლოვანი ყვავილების დარგვა დაიწყო. დეკორატიული ყვავილების, კერძოდ: პრიმულა, ვიოლასა და მიხაკის ჯიშის ჩითილები ძველ ბულვარში ეტაპობრივად დაირგვება.

მანამდე, ძველ ბულვარში სხვადასხვა მონაკვეთებზე არსებულ საყვავილე კლუმბებს მოსამზადებელი სამუშაოები ჩაუტარდა. ბათუმის ბულვარში გამწვანებითი სამუშაოები ეტაპობრივად გაგრძელდება და ჯამში, ზღვისპირა პარკში ოქტომბრის თვის ბოლომდე 250 ათასი ძირი სეზონურად მოყვავილე ჩითილი დაირგვება. წლის ბოლომდე კი მცენარეთა კოლექციას 2 ათას 500 ძირამდე სხვადასხვა ჯიშის მრავალწლოვანი ხე-მცენარეც შეემატება.

ლიცენზიის მქონე ტაქსის მძღოლები ავტომობილებს თეთრად უფასოდ შეღებავენ

„მივიღეთ გადაწყვეტილება ავტომობილების შეღებვასთან დაკავშირებით, ლიცენზიის მქონე მძღოლებს გადავცეთ ვაუჩერი, რომ ავტომობილების თეთრად გადაღებვა შეძლონ. მათ ეს არ დაუჯდებათ არც ერთი თეთრი. ეს მნიშვნელოვნად შეამსუბუქებს ტაქსის მძღოლების მდგომარეობას და ხელს შეუწყობს რეფორმის სწრაფ და ეფექტიან განხორციელებას“, – განაცხადა კახა კალაძემ.

დედაქალაქის მერის თქმით, ამ ვაუჩერებში თანხა მერიის ბიუჯეტიდან არ დაიხარჯება. ტაქსის მძღოლებს აღნიშნულ ვაუჩერებს მერიის მიერ გამოცხადებულ კონკურსში გამარჯვებული კომპანია გადასცემს, რომელსაც ტაქსებზე ორი წლით რეკლამის განთავსების უფლება მიენიჭება.

დედაქალაქის მერის თქმით, პირველი ოქტომბრის მდგომარეობით, მუნიციპალიტეტს 12 000-მდე ნებართვა აქვს გაცემული. დედაქალაქში 2019 წლის პირველი ოქტომბრიდან თეთრი ფერის ტაქსები იმოძრავებენ. მიმდინარე წლის პირველი ოქტომბრიდან კი, ტაქსების რეგისტრაცია სავალდებულო გახდა.

კლასიკური ავტომობილების რალი „PEAKS OF THE CAUCASUS“ დაიწყო

გუშინ თბილისში თავისუფლების მოედნიდან უნიკალური კლასიკური ავტომანქანების რალიმ – Peaks of the Caucasus – აიღო სტარტი. ღონისძიების ფარგლებში საქართველოს პირველად ეწვია სამოცამდე ბიზნესმენი, რომლებიც ქვეყნის თითქმის ყველა კუთხეს მოივლიან. გუშინვე ისინი ვარძიას ესტუმრნენ. Peaks of the Caucasus 12 დღის განმავლობაში გაგრძელდება.



მარშრუტი: 3 ოქტომბერი: ვარძია – ბორჯომი (110 კმ); 4 ოქტომბერი: ბორჯომი – წყალტუბო (200 კმ); 5 ოქტომბერი: წყალტუბო – წყალტუბო; 6 ოქტომბერი: წყალტუბო – მესტია (210 კმ); 7 ოქტომბერი: მესტია – უშგული – მესტია (100 კმ); 8 ოქტომბერო: მესტია – წყალტუბო (230 კმ); 9 ოქტომბერი: წყალტუბო – თბილისი (260 კმ); 11 ოქტომბერი: თბილისი – სიღნაღი (170 კმ); 12 ოქტომბერი: სიღნაღი – ლოპოტა (165 კმ); 13 ოქტომბერი: ლოპოტა – ყაზბეგი (230 კმ); 14 ოქტომბერი: ყაზბეგი – თბილისი (135 კმ).

რალიში მონაწილე მანქანები მეორე მსოფლიო ომამდელი წარმოებისაა. ყველაზე ძველი ავტომობილი Vxauxhall-ი 1922 წელს არის გამოშვებული.

ინიციატივა „Peaks of Caucasus“-ის შესახებ ბარტ კლაინს ეკუთვნის, რომლის ორგანიზებითაც პირველად 2005 წელს იტალიაში კლასიკური ავტომობილების რალი სახელწოდებით „Via- Flaminia“ ჩატარდა. რალის დასკვნითი ღონისძიება 14 ოქტომბერს შატო მუხრანში გაიმართება.

ზამთრისთვის სატყეო-სამეურნეო გზები მოგვარებულია

ზამთრის სეზონის მოახლოებასთან დაკავშირებით, სატყეო-სამეურნეო გზების მოწყობა-რეაბილიტაცია მთელი ქვეყნის მასშტაბით თითქმის დასრულებულია. მოსახლეობის საშეშე მერქნით შეუფერხებლად მომარაგებისთვის სამუშაოები ამჯერად მცხეთა-მთიანეთის რეგიონში სოფელ ანანურში მიმდინარეობს.

გზების რეაბილიტაცია ხელს შეუწყობს ხანძარსაწინააღმდეგო პრევენციული ღონისძიებების ჩატარებასა და ტყის მოვლა-აღდგენის სამუშაოებს. აგრეთვე, მოსახლეობას გაუადვილდება ეროვნული სატყეო საგენტოს მიერ გამოყოფილი ტყეკაფებიდან საშეშე მერქნის გამოტანა. მიმდინარე სამუშაოების შედეგად გაუმჯობესდება ტყეების ეკოლოგიური მდგომარეობა, ტყის მოვლა-აღდგენის და ხანძართან ბრძოლის ღონისძიებების ეფექტურობა.

ამბავი იმისა, თუ რა შავ დღეში ჰყავდათ ნაციონალებს ბიზნესმენი ზაზა ოქუაშვილი,

ნოდარ წულეისკირი ამხელს...

დღეს გთავაზობთ გამოჩენილი მწერლის, ეროვნული მოძრაობის ერთ-ერთი თვალსაჩინო წევრის ნოდარ წულეისკირის წერილს იმდროინდელი გენერალური პროკურორის ირ. ოქრუაშვილისადმი

რომელიც ახლა თავის ყოფილ ჯალათსა ბოროტმოქმედ მ. საკაშვილს გამიგნულად შეეკრა და „ოცნებას“ სამკვდრო-სასიცოცხლოდ დაუპირისპირდა

ნოდარ წულეისკირის ცხოვრების გზა არის ჩემი და ალბათ არა მარტო, ჩემი ჯერით, ალალ-მართალი მწერლის ცხოვრების გზა, რომელიც არასოდეს უხვევდა თავისი ამა თუ იმ თემის, ანუ საზოგადოების ინტერესებს, მუდამ იყო დისიდენტი და არასოდეს ეპუებოდა ხელისუფლებას, იყო ერის კაცი და ერის სინდისი.

დღესაც ბევრი ცდილობს მისი ავტორიტეტის გამოყენებას, აღსანიშნავია მწერლის ცხოვრების ერთი ეპიზოდი და „წერილი საქართველოს გენერალურ პროკურორს“, რომელიც დაწერისთანავე ხელიდან ხელში ვრცელდებოდა და არ გამოქვეყნებულა.

იმ პერიოდში, მას მერე რაც ორივეს დაგვატოვებინეს სამსახური, მე და დედაჩემი კერძო საგანმანათლებლო ცენტრს ვხელმძღვანელობდით რაიონში, მწერალს ფიზიკური მუშაობით, დიდი მეურნეობის გაძღოლით უწევდა საკუთარი თავისა და ოჯახის რჩენა.

ბაბუაჩემის მიერ ვენების გადახსნის მერე, მისი სასოწარკვეთიდან დახსნის განზრახვით, მასთან ერთად მის მოგონებებზე მუშაობისას, ეს წერილი მივიტანეთ გამომცემლობა „ინტელექტში“, წერილი წიგნში არ შეიტანეს, მისი სიტყვის მაგიერ სხვა წერილი აღმოჩნდა მოგონებებში, რამაც ნოდარ წულეისკირის წყენა და ცრემლიც კი გამოიწვია. ეს ყოველივე გავაჟღერე მარნეულის სათემო რადიოს მეშვეობით, სადაც ჩემს საავტორო გადაცემათა სერიაში „ჩემი წასაკითხი წიგნები“, ბაბუაჩემს რამდენიმე გადაცემა მივუძღვენი.

მესმის, განა არ მესმის, ბაბუაჩემს დიდი ავტორიტეტი აქვს და გვინდა, მისი სიტყვით გავმართლდეთ ხოლმე მავანნი. უბრალოდ, რაც არ უნდა არაფრად მიმიჩნევდეს ადამიანი, მე მაინც ხომ ვიცი, რომელია სიტყვა ამ მწერლის და რომელი – არა, და სადაც მოვახერხებ გაშუქებას, იქ მაინც ხომ გამჟღავნდება, რომ ბაბუაჩემს აროდეს უწოდებია „რაინდები“ თქვენთვის „თქვე ვარდოსნებო“.

მინდა, მის ამ ერთ წერილს იცნობდეს საზოგადოება (მცირედი შემცირებით), სადაც ნათლად ჩანს მისი დამოკიდებულება პოლიტიკოსების საქმიანობისადმი, ასევე მწერლის შეფასებები მის ირგვლივ არსებულ ვითარებაზე.

ქალბატონი თამარ შაიშმელაშვილი აღმოჩნდა მეორე ადამიანი, ჟურნალისტ კამილა მამედოვას შემდეგ, რომელმაც მომცა საშუალება, გამეშუქებინა ეს სიტყვა. მადლობა ორივე ჟურნალისტს ამისათვის.

ნოდარ წულეისკირს ერის სინდისსაც კი უწოდებენ, ეს მწერალი მთელი თავისი სიცოცხლე არ ელეოდა უსამართლობასთან სიტყვით ბრძოლას და ყოველთვის არ უნდა ეცადოთ, როდესაც არ შეგწევთ უნარი, მიიღოთ მისი სიტყვით სიმართლე თქვენი, შეთითხნოთ ნაჯღაბნები და იძახოთ, ეს არის სიტყვა მისი და არა ის, რაც არის ნამდვილი სიტყვა ამ მწერლის... ამას გეუბნებათ მისი შვილიშვილი –

თათია შენგელაია

მოგმართავთ მწერალი ნოდარ წულეისკირი, შეიძლება არ მიცნობდეთ, მწერალთა წრეებში მიცნობენ, ეროვნულ მოძრაობაში აქტიურად ვმონაწილეობდი, კულტურის მინისტრიც კი ვიყავი.

კარგა ხანია, გარიდებული ვარ, თბილისს, სოფელში ვცხოვრობ, მანამდე სკოლაში ვმუშაობდი. დღეს აღარ ვმუშაობ, მოვხუცდი, არ ვერევი პოლიტიკაში.

თქვენს მოსვლას ხელისუფლებაში კეთილად შევხვდი. თავიდან ეს შევარდნები და რევოლუციები არ მომწონდა. ვინაიდან ყველაფერი მშვიდობიანად დამთავრდა, „ვარდების რევოლუცია“ ყველასათვის მოსაწონი შეიქნა. როცა ვნახე, ახალარჩეული ჩვენი პრეზიდენტი წავიდა და გელათში დავით აღმაშენებლის საფლავზე ფიცი დადო უწმინდესისა და უნეტარესის ილია მეორის ლოცვა-კურთხევით, მრავალი ქვეყნის ჟურნალისტებს ინგლისურად, ფრანგულად და რუსულად ლაღად ესაუბრა, ამ ენების წყალივით ცოდნა გამოამჟღავნა. ინაუგურაციის შემდეგ პირველი ნაბიჯი პირველ დღესავე შერიგებისაკენ, ერის გამთლიანებისაკენ, თანხმობისაკენ გადადგა, ზვიად გამსახურდიას თანამოაზრეებს შეხვდა, სახელმწიფო მინისტრად დანიშნა კაცი, ვისაც სამშობლოს სიყვარულისთვის ჯილდოდ ერგო ციხე და შვიდი ტყვია – გურამ აბსანძე. ყველაფერი ეს იყო ძალიან კარგი, მშვენიერი, – ამით მან, დარწმუნებული ვარ, მოწინააღმდეგეების გულიც კი მოინადირა.

გამიხარდა ხელისუფლებაში განათლებული, განსწავლული ახალგაზრდების მოსვლა, გული სიამაყით ამევსო და დიდი იმედი მომეცა.

მაგრამ... სამწუხაროდ, პირველი თქვენი პრაქტიკული ნაბიჯები ჩემთვის მოულოდნელი აღმოჩნდა.

ოცი წელიწადია, ამ ხასიათის წერილი არ დამიწერია. კომუნისტური ტერორის წინააღმდეგ (როცა ზ. გამსახურდია და მ. კოსტავა დაიჭირეს) პროტესტის წერილები მივწერე მაშინდელ გენერალურ პროკურორს ლერი თალაკვაძეს, ბრეჟნევს და თვით კარტერსაც კი, რასაკვირველია, მაშინ სხვა დრო იყო, სხვა „დაჭერები“ იყო, მაგრამ **სისასტიკე საერთოა.**

ამიტომ ავიღე ხელში კალამი, ეგებ ცოტათი მაინც შეგაგონოთ, ეგებ ჩემმა სიტყვამ მიგახედოთ ჭეშმარიტებისაკენ. „ვარდების რევოლუციის“ ტალღებიდან, ნაპირზე უნდა გადმოხვიდეთ და დამშვიდდეთ.

განათლებული, განსწავლული ახალგაზრდების მოსვლა ხელისუფლებაში იმიტომ გამიხარდა, რომ დღევანდელ საქართველოში ბევრი ვინმე მართლაც დასაჭერ-გასასამართლებელია, მეგონა, ამას კვალიფიციურად, დასაბუთებულად, დინჯად გააკეთებდით, როგორც ეს შეეფერება მაღალი კვალიფიკაციის იურისტს.

„ომეგას“ ოფისებში თქვენი ნიღბიანი მუშაკების შეჭრას, იბერვიზიის, ჟურნალ „ომეგას“, გაზეთების: „ეპოქის“, „ჩვენი მწერლობის“ დარბევა-დაწიოკებას არ უნდა ამერიკაში განათლების მიღება.

მოვიტან ერთ მაგალითს გაზეთ „ოცდაოთხი საათიდან“. თითქმის დაუჯერებელია, მაგრამ ფაქტია, აი, რას წერს გაზეთი; „სანდრო აფციაური, ფაბრიკის მუშა: „შემოვარდნენ მხეცებივით, ეცნენ დაცვას, წუთში განაიარაღეს ესენი, დაწექით ყველანიო, გვეუბნებიან. თანაც რაღაცას აჩხაკუნებენ. შემეშინდა, ამოვეფარე კედელს. მარა მერე მოვიდა კაცი, წამავლო ქეჩოში ხელი და წამიყვანა იქა, საცა ხალხი იწვა, აქ დაეგდე შენცო. თბილი „ცეხებიდან“ გამოიყვანეს მოკლე „საროჩკებით“ ბიჭები და ისინიც ძირს დაყარეს, ერთს კბილი ჩამოტეხეს, ერთს თვალში ჩაარტყეს, ზოგსაც გვერდებში მოარტყეს, თავი რაზე აწიე მაღლაო. ნახევარი საათი „ასფალტზე“ ვყავდი დაწვენილი, განძრევას ვერ ვბედავდი. რათა კაცო, ჩვენ რა დავაშავეთ! თან ყვირიან – ფეხები განზე გაწი! რო ავდექი ჩემი გაჩაჩხული ნაწილი დაბლა დარჩა რა (ეს სახელმწიფოს საქციელია? „ვარდების რევოლუციამ“ ეს მოგვიტანა? **ნ.წ.**).

– რა გვინდოდაო მაინც?

– რა გვინდაო? რავი, რა გვინდაო, თქვეს რო? მიწაზე ნახევარი საათი, მეტი ვიწექი, მერე თქვეს ახლა ადექითო, თავზე ხელები შამაიწყეთ და კედელთად დადექითო. დაგვაყენეს ზურგშებრუნებით. როდის-როდის გამოგვიშვეს“.

კედელთან მიყენებული, ხელაპყრობილი სანრდო აფციაური გაოცებულია: „რა დავაშავეო. მეც გაოცებული ვარ, მართალი გითხრათ! რა დააშავა სანდრო აფციაურმა? იმან ვისაც კბილები ჩაამტვრიეს, ვისაც თავში ჩაარტყეს, გვერდები დაულეწეს – ეს ხალხი ხომ უდანაშაულოა? ამასაც თავი დავანებოთ, მამალაძის მოხუცმა მშობლებმა ვის რა დაუშავა!

როცა დისიდენტურ ლიტერატურას ვკითხულობდი, მაშინ წამიკითხავს მსგავსი რამ: საკანში მიყვანილ პატიმრებს საყვარელ ადამიანებს: დედას, მამას, შვილს, ცოლს, დას, ძმას თვალწინ უწამებდნენ. უსასოო ადამიანი ყოველგვარ აღიარებაზე ხელს აწერდა. ბაღჩო ქობულაძისაგან ხომ უნდა განსხვავდებოდეთ? მე ის ადამიანი ვარ, ვისაც არქივებში უმუშავია, ათობით გადასახლებულ და გაციმბირებულ ადამიანებთან მისაუბრია და კინოფილმ „მონანიების“ შექმნაშიც მიმიღია მონაწილეობა. ლ. მამალაძის მოხუც დედას პროკურატურაში რომ იბარებთ, არ გეშინიათ გკითხოთ: „დოქსოპულო, შენ დედა გყავს?“..

ბატონო გენერალურო! ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია მიღებული აქვს 1948 წ. გაეროს გენერალურ ასამბლეას, რომელშიც გამოცხადებულია პიროვნების ძირითადი უფლებები, მას წინ უძღოდა ერთი საუკუნის წინათ ჩასახული დიადი იდეა, „ადამიანის და მოქალაქის უფლებათა დეკლარაცია“ კაცობრიობის ეს გენიალური პოლიტიკური მანიფესტი მშვენიერ იდეად ჯერ ვოლტერის გონებაში დაიბადა შემდეგ პოლიტიკურ მანიფესტად ფრანგებმა აქციეს მე-18 საუკუნეშივე, ხოლო ერთი საუკუნის შემდეგ მსოფლიოს მოწინავე ერებმა და სახელმწიფო-

ებმა საყოველთაოდ აქციეს. ჩვენამდე ამ ამბავს ჯერ არ მოულწევია?

ძალიან ვწუხვარ ასეთ უხეშ სტრიქონებს რომ ვწერ, მაგრამ მე სხვანაირად არ შემიძლია. თუ დააკვირდებით „ომეგას“ ოფისების დანგრევის წინააღმდეგ პირველად ყველაზე აქტიურად ხმა აიმაღლეს ეროვნული მოძრაობის ყოფილმა ლიდერებმა: ი. წერეთელმა, ი. ბათიაშვილმა, ე. ჯაველიძემ, პარლამენტარებმა გ. შარაძემ, ნ. ჩხეიძემ, ადა მარშანიამ და სხვ. რატომ? იმიტომ რომ ეროვნული მოძრაობა სწორედ ასე დაიწყო. „ადამინის უფლებების დაცვა“ ზვიად გამსახურდიამ დროშად აქცია და არალეგალურად ჯგუფიც კი ჩამოაყალიბა, გამოსცა გაზეთები, ჟურნალები და სხვადასხვა.

ეროვნული მოძრაობა ადამიანის უფლებებს მაშინ იცავდა, როცა ამისათვის გაციმბირება გველოდა. დასანანია, ეს ყველას დაგვავიწყდა და ადამიანის უფლებების დაცვა გაშარჟდა.

თავი დავანებოთ მაღალი იდეალებს. პროკურატურის მუშაკები მძარცველებისაგან ხომ უნდა განსხვავდებოდნენ?...

მე ინფორმაცია არა მაქვს, წერაქვში საცა მე ვცხოვრობ, არ არის ტელევიზორი, ვინაიდან არ არის შუქი, არ არის რადიო, არ არის გაზეთი, არ არის ტელეფონი, მობილური არ იჭერს. სრულ ინფორმაციულ ვაკუუმში ვარ, მაგრამ თბილისიდან მიგზავნიან გაზეთებს, რომელსაც დაგვიანებით ვეცნობი. პირადად ზ. ოქუაშვილს არ ვიცნობ, ვიცნობ ნატო ჩხეიძეს, როსტომ ჩხეიძეს... — ეს ჩვენი დიდი მწერლის — ოთარ ჩხეიძის ოჯახია. მათ ბიზნესს გაზეთებიდან გავეცანი. ე.ი. გაერთიანდა ორი პატიოსანი ოჯახი და რაღაცა მცირე წარმატებას მიაღწიეს ბიზნესში. ეს უნდა ჩავკლათ?

რაც ზაზა ოქუაშვილმა გააკეთა მწერლობისთვის, საერთოდ ქართული კულტურისთვის, პრესისთვის, ქართული ჟურნალისტიკისთვის, **დამოუკიდებელი ქართულ სახელმწიფოს ჯერ არ გაუკეთებია თავისი ბიუჯეტით.**

ასეთი ბიზნესი უნდა ავაწიოკოთ და ავკრძალოთ?.. შევესიოთ, დავაყადაღოთ, შევვარდეთ, დავლუქოთ, რა ვიცი, რა ტერმინებს არ ვხმარობთ, ოღონდ როგორმე მოვსპოთ ან ფული წავართვათ თორმეტი მილიონი.

გასაოცარი ის არის, რომ ეს ყველაფერი, განსაკუთრებით ბიზნესმენების სახელმწიფო დაყაჩაღება და დატერორება მოხდა სწორედ იმ დღეებში, როცა ჩვენი პრეზიდენტი ამერიკის პრეზიდენტს ხვდებოდა, თავს ისე გრძნობდა, თითქოს აგერ, მარტყოფში ჩავიდა და ადგილობრივ გამგებელს ხვდებოდა, რუსეთში უფრო შებოჭილად გრძნობდა თავს, ვიდრე ამერიკაში. მრავალ შეხვედრათა შორის, შეხვედრა ჰქონდა ამერიკელ ბიზნესმენთან, სიტყვით, რა თქმა უნდა, ინგლისურად გამოვიდა, ბწყინვალე სიტყვა თქვა, დაინგრა დარბაზი ტაშით, ბუეზინსკიმ მისცა მაღალი შეფასება (თუ არ ვცდები, „ამერიკის ხმა“ ცუდად ისმის, ხანდახან სულ არ ისმის ჩვენს სოფელში).

აი, სწორედ ამ დროს თქვენი ნიღბიანი სპეცრაზმელები, თავს ესხმიან ბიზნესმენის ოფისებს, მის მიერ შექმნილ თავისუფალ პრესას, ტელევიზიას... ნუთუ ამ უხერხულობას ვერ გრძნობთ თქვენივე თავისთვის, თქვენი ხელისუფლებისთვის.

იურისტებო, მთელი ქვეყნისა! - არ არის ეს იურიდიული აბსურდი?

ბატონო გენერალურო, ხალხს როცა ვეუბნებით ზ. ოქუაშვილმა 12 მილიონი არ გადაუხადა ბიუჯეტს, ამის გამო ვერ გაძლევთ პენსიას და ხელფასსო. ამ დროს ეს 12 მილიონი საპნის ბუშტია, არ გეშინიათ იმავე ხალხის, ვინც ხელისუფლებაში სწორედ პენსია-ხელფასებისთვის მოგიყვანათ? თქვენ ისე შეტოპეთ, უკვე იძულებული ხართ, ეს აბსურდი ამტკიცოთ.

ჩემი აზრით, არ შეიძლება ასე. საქართველოში თუ გულით მოინდომებთ, ნებისმიერ ბიზნესმენს უპოვით მსგავს და კიდევ უარეს დარღვევებს, თუ მოულოდნელად თავს დაესხმებით. მეტსაც გეტყვით, რუსთაველის გამზირზე შეაჩერეთ ნებისმიერი მოქალაქე, დააპატიმრეთ სამი თვით და გამოიძიეთ მისი საქმე. უსათუოდ უპოვით „დანაშაულს“. თუ მაინც ვერ უპოვით, კამერაში შეაგზავნეთ ცირეკიძე და მიიღებთ აღიარებას. ხომ ვაკეთებდით ამას და არ გამოდგა, არ ივარგა, ახლაც არ გამოდგება, არ ივარგებს.

მე არ მიყვარს ჩემი ნაწერების ციტირება, ჩემი წარსულით ტრაბახი, მაგრამ მაინც უნდა გავიხსენო ჩემი ერთი წერილი, — „ლიტერატურული მონანიება“. იქ მე ვწერ, აბობოქრებულ თანამემამულეებს შევახსენებ: „არ შეიძლება კონსტანტინე გამსახურდიას ეზოში ბომბის შეგდება“. ვინ მომისმინა, ბომბი შეაგდეს კი არა, პირდაპირი დამიზნებით დაუშინეს ქვემეხი მის შვილს ზვიად გამსახურდიას და ბოლოს მთლად გადაწვეს მისი კარმიდამო და მისი ხელნაწერებიც კი.

ახლაც დაბეჯითებით მოვუწოდებ „ვარდების რევოლუციის“ ავტორებს, არ შეიძლება ოთარ ჩხეიძის ოჯახში ბომბის შეგდება. მეტი მე არაფერი შემიძლია!..

P. S. სხვათა შორის „ვარდების რევოლუციის“ ტრიბუნაზე მიხ. სააკაშვილის გამოჩენისთანავე ხალხმა ის ზვიად გამსახურდიას შეადარა, ეს არ იყო შემთხვევითი. თვით „ვარდების რევოლუცია“ ზ. გამსახურდიადან იღებს სათავეს. როგორც ცნობილია ზ. გამსახურდია ოპოზიციას სწორედ ვარდებით დაუპირისპირდა, თქვენ ტყვიებს გვესვრით, ჩვენ ვარდებს გესვრითო — მისი სიტყვებია.

სულ სხვა იყო ზ. გამსახურდიას მოღვაწეობა და სულ სხვაა მ. სააკაშვილის „ვარდების რევოლუცია“.

კალამი ხელში თქვენი, პირადად ირაკლი ოქრუაშვილის, როგორც გენერალური პროკურორის მოღვაწეობის წინააღმდეგ ავიღე.

პირველად თქვენ ტელეეკრანზე დაგინახეთ. არ იყო ურიგო თქვენი გამოსვლა, - იყავით მტკიცე და შეუვალი. პროკურორი ასეთი უნდა იყოს.

ბატონო გენერალურო! ვისაც ეს წერილი წავუკითხე, ყველამ დამიწუნა, ჩემს კეთილის მსურველებს ეშინიათ, რაღაცას მოგიგონებენ და დაგიჭერენო — მიხეილ ჯავახიშვილს ნატახტრის წყლის მოწამვლა დააბრალეს!

როგორც ჩანს, შიში უკვე დათესილი გაქვთ, სახელმწიფო რეკეტი, სახელმწიფო ტერორი ხორციელდება.

წერილი დამიწუნა სულ მთლად ობიექტურმა, ნეიტრალურმა ადამიანმაც, რატომ? — ვაჟა-ფშაველას სიტყვებით ვუპასუხებ: „სიკვდილი ყველას გვაშინებს, სხვას რომ კვლენ, ცქერა გვწადიან“. ეს კომპლექსი მუშაობს. სხვას რომ აპატიმრებენ კარგია, სხვა ცუდია, თვითონ კარგია და არ დააპატიმრებენ.

დასასრულ მივმართავ საქართველოს პრეზიდენტს მ. სააკაშვილს, პრემიერ- მინისტრ ზ. ჟვანიას, პარლამენტის თავმჯდომარეს ნ. ბურჯანაძეს, ყველა კანონმდებელს, საქართველოს ყველა ცნობილ იურისტს, ძველმოძმედება კანონით წავახალისოთ. ერთმანეთისაგან უნდა განვასხვავოთ სოლომონ ისაკიჩ მეჯღანუაშვილი და სარაჯიშვილი, ხოშტარია, ზუბალაშვილები და ა.შ.

ნოდარ წულეისკირი
2005 წ.

აქვე გთავაზობთ შემოსავლების სამსახურის პასუხს „ომეგა“ ჯგუფის მიმართ

„ომეგას“ ნაციონალების დროს საბიუჯეტო დავალიანება ჰქონდა 12 მილიონი ლარი. „ოცნების“ დროს „ომეგას“ საბიუჯეტო დავალიანებაა 51 მილიონი ლარი!

შემოსავლების სამსახური „ომეგა ჯგუფთან“ დაკავშირებით მორიგ განცხადებას ავრცელებს, რომელსაც უცვლელად გთავაზობთ:

„დღეს „ომეგა ჯგუფმა“ განცხადება გაავრცელა, სადაც ფინანსთა სამინისტრო და შემოსავლების სამსახური პირდაპირ დაადანაშაულა სიცრუის ტირაჟირებაში.

ფინანსთა სამინისტროს და შემოსავლების სამსახურის სახელით სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებთ, ყველა ინფორმაცია, რომელიც გავრცელებულია ფინანსთა სამინისტროს სახელით და ეხება კომპანია ოჯთ-ს საგადასახადო დავალიანებას, სრული სიმართლეა და დასტურდება შესაბამისი დოკუმენტაციით.

2015 წელს, ოჯთ-იმ ბიუჯეტში გადაიხადა 35.203.170 ლარი, მაგრამ არ გადაუხდია 1.358.919 ლარი, რომელზე დარიცხულმა საურავმაც შეადგინა 134.371 ლარი.

საგადასახადო დავალიანება 2015 წლის ბოლოსთვის შეადგენდა 1 486 696 ლარს.

2016 წელს, შპს ოჯთ-ის მიმართ რიცხულმა საურავმა შეადგინა 2.143.845 ლარი;

2016 წელს წარდგენილი დეკლარაციების საფუძველზე კომპანიას დაერიცხა ძირითადი გადასახადი 20,880,470 ლარი, მაგრამ გადაიხადა მხოლოდ 2,099,350 ლარი, შესაბამისად გადაუხდელ თანხაზე დარიცხული საურავების გათვალისწინებით, 2016 წლის ბოლოსთვის აღიარებულმა საგადასახადო დავალიანებამ შეადგინა 21,679,836 ლარი.

დადეკლარირებული თანხების გადაუხდელობით ანალოგიურად გაიზარდა საგადასახადო დავალიანება 2017 წლის განმავლობაში,

კერძოდ დაადეკლარირა, ანუ აღიარა 19,973,500 ლარი, მაგრამ გადაიხადა მხოლოდ 12,868,653 ლარი.

2017 წლის ბოლოსთვის, გადაუხდელ თანხაზე დარიცხული საურავების გათვალისწინებით, აღიარებულმა საგადასახადო დავალიანებამ შეადგინა 33,411,299 ლარი.

2018 წლის მანძილზე დაადეკლარირა ანუ აღიარა 16,076,671 ლარი, ხოლო ბიუჯეტში გადაიხადა მხოლოდ 1,214,785 ლარი.

სულ, 2016 წლიდან დღემდე, ბიუჯეტში გადახდილია 16,182,788 ლარი. დღეის მდგომარეობით, კომპანიის პირადი აღრიცხვის ბარათზე არსებული აღიარებული საგადასახადო დავალიანება შეადგენს 52,830,844 ლარს.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მიმდინარე აღიარებული საგადასახადო დავალიანება ერიცხება ტელეკომპანია „იბერიასაც“, დავალიანება დღეის მდგომარეობით შეადგენს 86,811 ლარს. აქვე უნდა აღინოშნოს, დავალიანების შესაბამისად, გვაქვს კანონიერი უფლება კომპანიის ანგარიშებზე წარვადგინოთ საინკასო დავალებები , ასევე გამოვიყენოთ ყადაღა. რაც დღემდე არ გაგვიკეთებია სწორედ ქვეყანაში თავისუფალი სიტყვის დაცვისა და ხელშეუხებლობის უზრუნველყოფის მიზნით.

ახლა, იმ სიცრუის შესახებ, რომელიც ასე ხმამაღლა გაჟღერდა კომპანიის წარმომადგენლების მიერ:

2015 წლის 5 მარტიდან დღემდე კომპანიის მიმართ 13-ჯერ შეჩერდა იძულებითი ღონისძიებების გამოყენება, მათ შორის 2-ჯერ გაფორმდა გადახდის გრაფიკი, რომელიც ორივეჯერ გაუქმდა გრაფიკით გათვალისწინებული თანხის გადაუხდელობის გამო, ხოლო 11-ჯერ, და არა 7-ჯერ, როგორც ამას კომპანიის წარმომადგენლების აცხადებენ, გადამხდელის მიერ წარმოდგენილი განცხადებების საფუძველზე, არ იქნა გამოყენებული იძულებითი გადახდევინების ღონისძიებები. ყველა წერილი ჩემს ხელთაა და მინდა, წარმოგიდგინოთ.

აქვე, მოვუწოდებთ ყველა დაინტერესებულ პირს, მათ შორის მედიის წარმომადგენლებს, პირადად გაეცნონ აღნიშნულ დოკუმენტაციას. ეს არის 13 დოკუმენტი, მათ შორის, როგორც ჩვენ ვაცხადებდით — 11 გადავადების შესახებ და 2 წერილი გრაფიკის შედგენის თაობაზე.

რაც შეეხება საგადასახადო დავალიანების რესტრუქტურიზაციას, ეს მექანიზმი შესაძლებელია, გამოყენებულ იქნეს მხოლოდ ვადამდგარი საგადასახადო დავალიანებისთვის, რაც გულისხმობს, რომ კომპანიას მიეცემა მუშაობის საშუალება, ხოლო კომპანია თავის მხრივ რესტრუქტურიზაციის მოთხოვნისას, მზადყოფნას გამოთქვამს, იხადოს მიმდინარე ვალდებულებები სახელმწიფოს წინაშე და ვადადამდგარი დავალიანება ეტაპობრივად შეამციროს რესტრუქტურიზაციის პირობების შესაბამისად.

ამ კონკრეტული სუბიექტის, ოჯთი-ს შემთხვევაში, გვაქვს სრულიად საპირისპირო სურათი, ვინაიდან კომპანიამ როდესაც მოითხოვა საგადასახადო დავალიანების რესტრუქტურიზაცია, მისი საგადასახადო დავალიანება შეადგენდა 29.7 მლნ ლარს, საიდანაც 26,4 მლნ ლარი იყო ძირი თანხა ხოლო დანარჩენი — ჯარიმა-საურავები. მას ამ პერიოდში ფინანსთა სამინისტრომ რესტრუქტურიზაციის პროცედურების გარეშეც გაცილებით მარტივი და მოქნილი მექანიზმით (როგორც კომპანიისთვის ისე ჩვენთვის) მისცა მუშაობის საშუალება (მიუხედავად მათი მხრიდან პირობის არაერთგზის დარღვევისა) და შანსი ეჩვენებინა ჯანსაღი დინამიკა საგადასახადო ვალდებულებების შესრულების მიმართულებით.

თუმცა, კომპანიამ განაგრძო ახალი მიმდინარე საგადასახადო დავალიანების დაგროვება და გაზარდა იგი 52,830,844 მილიონამდე, მათ შორის ძირი თანხა 26,4 მილიონიდან გაზარდა 40 მილიონამდე.

შესაბამისად, ფინანსთა სამინისტრომ გამოიყენა მის ხელთ არსებული ბერკეტები კომპანიის მიერ საგადასახადო დავალიანების პროცესის აღსაკვეთად“, აღნიშნულია შემოსავლების სამსახურის განცხადებაში.

რედაქციისგან:

უმადურობა და დაუნახაობა ადამიანის ერთ-ერთი უბინძურესი თვისებაა. საბოლოო აზრისა და დასკვნის გამოტანა შენთვის მოგვინდვია პირუთვნელო მკითხველო.

ისე, ჯერ კიდევ ჩვენს წელთაღრიცხვამდე იცოდნენ წესიერმა ადამიანებმა, რომ ვალს გადახდა უნდა და არა გადაუხდელობის მიზნით ტაბიკების მტვრევა!

მოსკოვმა სოხუმს აფხაზეთის საერთაშორისო აღიარების იმედები გადაუნურა



რუსეთი, რა თქმა უნდა, დაინტერესებულია სოხუმისა და ცხინვალის საერთაშორისო აღიარების გაფართოებით, თუმცა ამ სურვილის რეალიზება ყოველთვის როდი ხერხდება, — ასე უპასუხა რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს დსთ-ის საქმეთა, ევრაზიული ინტეგრაციისა და თანამემამულეებთან კავშირების კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ კონსტანტინე ზატულინმა აფხაზი კოლეგების კითხვას, მოსალოდნელია თუ არა რუსეთის მიერ აფხაზეთის წინაშე აღებული შესაბამისი ვალდებულების აღსრულების კუთხით რაიმე სიახლეები უახლოეს მომავალში.

ამ კონტექსტში ზატულინმა მაგალითად კუბა, ლათინური ამერიკისა და დსთ-ის ქვეყნები მოიყვანა:

„კუბასთან საკითხის გადაწყვეტის მცდელობები იყო, თუმცა დაემთხვა იმ პერიოდს, როდესაც პრეზიდენტ ობამას მმართველობისას კუბა აშშ-სთან დაახლოებაზე მიდიოდა. ამ დროისთვის მათი ურთიერთობები გაფუჭებულია და შეგვიძლია, კიდევ ერთხელ ვცადოთ. ამ საკითხს რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროში დავაყენებ. ლათინური ამერიკის ქვეყნებთან მიმართებაში საქმე რთულადაა: როდესაც ამ საკითხთან დაკავშირებით ვუკავშირდებოდით, ისინი ვაშინგტონში რეკავდნენ, რის შემდეგაც უარით გვპასუხობდნენ. რაც შეეხება დსთ-ის ქვეყნებს, ბელარუსის პრეზიდენტ ლუკაშენკოსთან ასევე ვერ შევთანხმდით: აფხაზეთის აღიარების სანაცვლოდ მან მოგვთხოვა იმ ზარალის ანაზღაურება, რომელიც ამ ნაბიჯის გადადგმის შემთხვევაში ამერიკული სანქციების გამო ელოდა“.

აფხაზი დეპუტატების მოთხოვნის საპასუხოდ მათმა რუსმა კოლეგებმა დონეცკისა და ლუგანსკის ე.წ. სახალხო რესპუბლიკების აღიარების აუცილებლობაზე მიანიშნეს:

„არსებობს დონეცკისა და ლუგანსკის სახალხო რესპუბლიკები, რომლებიც დღეს იმავე სიტუაციაში იმყოფებიან, როგორშიც თქვენ და სამხრეთ ოსეთი იყავით. რა თქმა უნდა, ჩვენ ამ გადაწყვეტილებას თავს ვერ მოგახვევთ, თუმცა შეგვიძლია, მოგცეთ რეკომენდაცია, ამ მიმართულებით გარკვეული ნაბიჯები გადადგათ. რა თქმა უნდა, შეგიძლიათ, გვითხრათ, „ჯერ რუსეთმა აღიაროს და მერე ჩვენო...“, თუმცა ჩემი აზრით, ამ საკითხში, როგორც თანაბარუფლებიანი პარტნიორები, მეგობრები უფლებამოსილები ვართ, გირჩიოთ. სამხრეთ ოსეთმა თავისი ნაბიჯი უკვე გადადგა და თქვენც შეგეძლოთ, მოგებაძათ“,— მიმართა აფხაზ კოლეგებს რუსეთის კომპარტიის წევრმა, ოსმა დეპუტატმა კაზბეკ ტაისაევმა.

მას აფხაზმა კოლეგამ ბატალ ტაბაღუამ უპასუხა და განმარტა, რომ **„საერთაშორისო საქმეებში აფხაზეთი რუსეთთან სრული კოორდინაციით მოქმედებს, და რუსეთს ლუგანსკისა და დონეცკის სახალხო რესპუბლიკები ამ დრომდე არ უღიარებია და აფხაზეთი ისურვებდა, ამ მიმართულებით რუსეთის გეგმებისა და სურვილების შესახებ ზუსტი ინფორმაცია მიეღო“.**

ტაბაღუას ზატულინი გამოეხმაურა და მოსკოვის პოზიცია ასე განმარტა:

„თუ უკრაინა ძალებს მოიკრებს და დასავლური დახმარების იმედით კვლავ დაეხმება თავს დონეცკსა და ლუგანსკს, ჩვენ მათ ვაღიარებთ. მეტსაც გეტყვით, ჩვენ შევქმენით განცხადების პროექტი, რომელსაც ამჟამად სახელმწიფო სათათბირო განიხილავს და ის მთავრდება სიტყვებით იმის შესახებ, რომ „რუსეთის სახელმწიფო სათათბირო იძლევა გაფრთხილებას, თუ იქნება ახალი ფართომასშტაბიანი შეტევა, ან გაგრძელდება მკვლელობები (ჩვენ ზახარჩენკოს მკვლელობის ფაქტს ვეყრდნობოდით), მაშინ რუსეთის ფედერაცია ამას ადეკვატურ პასუხს გასცემს — ისეთს, როგორიც გაეცა 2008 წელს სამხრეთ ოსეთში საქართველოს ავანტიურას“. ამას ჩვენთან დიაცური აჟიოტაჟი მოჰყვა და შედეგად იძულებულები ვიყავით, შეგვერბილებინა ფორმულირებები. მტკიცე ერთიანობა ამ საკითხში არ არსებობს, რადგან ზოგ-ზოგიერთები თავს იზღვევენ: უკრაინასთან ომის გაგრძელება გსურთო. ჩვენ ომი არ გვსურს, მაგრამ ვაფრთხილებთ, რომ თუ ის იომებს, საპასუხოდ სხვა გამოსავალი არ დაგვრჩება“.

რაც შეეხება აფხაზეთის მიერ დონეცკისა და ლუგანსკის ე.წ. სახალხო რესპუბლიკების აღიარების რეკომენდაციას, ზატულინმა განაცხადა:

„ჩვენ არ გვსურს, ვაიძულოთ ვინმე, მათ შორის აფხაზეთი, თუმცა უნდა დაგვეთანხმოთ, რომ არსებობს გარკვეული ნიუანსი: სამხრეთ ოსეთმა აღიარა, აფხაზეთმა — არა. ეს — მაშინ, როდესაც, როგორც წესი, მსგავს საკითხებში სოლიდარულები ხართ ხოლმე. გვიმსუბუქებს თუ არა ჩვენ საქმეს სამხრეთ ოსეთის მიერ დონეცკისა და ლუგანსკის სახალხო რესპუბლიკების აღიარება? დიახ. ის, რომ რუსეთი ჯერ მათ არ აღიარებს, ცხადია, დიპლომატიაა, თამაში. ჩვენ არ ვაღიარებთ მათ, მაგრამ ვაღიარეთ სამხრეთ ოსეთი, სამხრეთ ოსეთმა კი — ლუგანსკისა და დონეცკის სახალხო რესპუბლიკები“.

საქართველოს მთავრობამ რუსეთის წარმომადგენლები ლუგარის ლაბორატორიაში მოიწვია

საქართველოს მთავრობამ რუსეთის წარმომადგენლები 14-15 ნოემბრისთვის რიჩარდ ლუგარის სახელობის ლაბორატორიაში დაგეგმილ საერთაშორისო კონფერენციაზე მოიწვია, თუმცა რუსულ მხარეს ჯერ პასუხი არ გაუცია. ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრის სპეცწარმომადგენელმა რუსეთთან ურთიერთობის საკითხებში ზურაბ აბაშიძემ „რადიო თავისუფლებას“ ბოლო პერიოდში რუსული მხარის მიერ ლუგარის ლაბორატორიის მიმართ გამოთქმული ეჭვებისა და პრეტენზიების კომენტირებისას განუცხადა.

„დიახ, ბატონი კარასინი ამ თემასაც შეეხო. ჩვენი პასუხი ძალზედ მარტივია — ეს ლაბორატორია საქართველოს საკუთრებაა, ფინანსდება საქართველოს მთავრობის მიერ და მუშაობს სრულიად ტრანსპარენტულ რეჟიმში: ლაბორატორიის კარი ღიაა უცხოელი სპეციალისტებისთვის, ჟურნალისტებისთვის, მათ შორის — რუსი ექსპერტებისთვის. სხვათა შორის, რუსი ექსპერტები არაერთხელ არიან ნამყოფები ამ ლაბორატორიაში და მის მუშაობას მაღალ შეფასებებს აძლევდნენ. 14-15 ნოემბერს იქ საერთაშორისო კონფერენცია გაიმართება 20 ქვეყნის წარმომადგენლების მონაწილეობით. მოწვევა რუსულ მხარესაც გავუგზავნეთ, რომელსაც, სამწუხაროდ, ეს მოწვევა ჯერ არ მიუღია. თუ მათ მართლაც აინტერესებთ, რით არის დაკავებული ეს ლაბორატორია, შეუძლიათ, კიდევ ერთხელ ჩამოვიდნენ, ადგილზე ნახონ ყველაფერი, მონაწილეობა მიიღონ კონფერენციაში...არსებობს სხვა საშუალებებიც. თუმცა ჩვენ დარწმუნებულები ვართ, რომ რუსულ მხარეს ეს თემა მხოლოდ და მხოლოდ პოლიტიკური მიზნით აინტერესებს, — სწორედ იმიტომ მუსირებს გამუდმებით, რომ არსებობს რაღაც სხვა მიზნები. ეს მით უფრო ეხება სრულიად აბსურდულ ბრალდებას იმასთან დაკავშირებით, თითქოს ლაბორატორიაში ტარდება რაღაც ექსპერიმენტები ადამიანებზე, — ეს ხომ საერთოდ ყოველგვარ ფარგლებს სცდება. ისეთი შეგრძება გვაქვს, რომ რუსული მხარე ამ თემას პროპაგანდისტული საგარეო პოლიტიკური მიზნებისთვის იყენებს. განვმეორდები: ეს არის საქართველოს კუთვნილი ლაბორატორია, მსგავსი ლაბორატორიები მეზობელ ქვეყნებშიც ბევრია, რომ აღარაფერი ვთქვათ თავად რუსეთის ფედერაციაზე. ეს არის უმაღლესი კლასის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი, რომელშიც ქართველი სპეციალისტები საქართველოს მთავრობის დაფინანსებით მუშაობენ და არანაირი დახურული თემები იქ არ არსებობს და ეს კარგად მოეხსენებათ რუს მეცნიერებსაც. არ ვიცი, რამდენად დავარწმუნე ბატონი კარასინი, თუმცა ჩემი აზრით, ძალიან დამაჯერებლად ვსაუბრობდი და არგუმენტები აქ იმდენად ნათელია, რომ მათი არმიღება ძალიან რთული იქნება “, — განაცხადა ზურაბ აბაშიძემ.

პეტრო პოროშენკო: ამერიკელ სამხედროებს არ ვთხოვთ, დაიცვან უკრაინა

უკრაინის პრეზიდენტის პეტრო პოროშენკოს განცხადებით, უკრაინის მთავარი მტერი რუსეთის პრეზიდენტი ვლადიმირ პუტინი და რუსეთის მიერ გავრცელებული დეზინფორმაციაა.

პოროშენკომ აღნიშნა, რომ ამერიკის მხარდაჭერის დამსახურებით უკრაინამ შექმნა ძლიერი და სანდო არმია, რომელიც ქვეყნის აღმოსავლეთ ნაწილში რუსეთის აგრესიას წარმატებით უმკლავდება.

„ვამაყობ ამერიკელ, ბრიტანელ, კანადელ და ევროპელ მრჩევლებთან ეფექტური თანამშრომლობით. პუტინი ბრძოლის ველზე გამარჯვებას ვერ აღწევს. ის იმედოვნებს, რომ წარმატებას არჩევნების შემდეგ მიაღწევს, იმ შემთხვევაში, თუ ჩვენ სტაბილურობას შიგნიდან შეარყევს კიბერშეტევების, ყალბი ინფორმაციების გავრცელებით“, — განმარტა პოროშენკომ. სამხედრო თანამშრომლობის თემაზე საუბრისას პოროშენკომ აღნიშნა, რომ უკრაინა სულ მალე მიიღებს ორ საპატრულო „აილენდის“ კლასის ხომალდს და ამერიკელებს უკრაინის სუვერენიტეტის, დამოუკიდებლობის და ტერიტორიული მთლიანობის მხარდაჭერისთვის მადლობა გადაუხადა.

„არ ვთხოვთ, ამერიკელ ჯარისკაცებს უკრაინა დაიცვან. გვსურს, ვიხილოთ თანამშრომლობის ეფექტური მოდელი, სადაც ამერიკა იქნებოდა ლიდერი“, — განაცხადა უკრაინის პრეზიდენტმა.

ტერეზა მეი: ევროკავშირი და საბჭოთა კავშირი ერთი და იგივე არ არის

ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრის ტერეზა მეის განცხადებით, ევროკავშირი და საბჭოთა კავშირი ერთმანეთს არ ჰგავს.

ამის შესახებ მეიმ ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მიერ გაკეთებული განცხადების საპასუხოდ განაცხადა. ბრიტანეთის საგარეო უწყების ხელმძღვანელმა ჯერემი ხანტმა ევროკავშირს მოუწოდა „საბჭოთა კავშირის მსგავს“ ციხეს არ დაემსგავსოს. მან გააკრიტიკი ბრიუსელი იმ პოზიციისთვის, როგორიც მან „ბრექსიტის“ შესახებ მოლაპარაკების პროცესში დაიკავა. ხანტის თქმით, ევროკავშირი სამეფოს „სჯის“ მისი გადაწყვეტილების გამო.

ევროკომისიამ საპასუხოდ ურჩია ხანტს, ისტორიის სახელმძღვანელო გადაშალოს, რომ ევროკავშირსა და საბჭოთა კავშირს შორის პარალელამდე არ დაეშვას. მეის თქმით, ევროკავშირში არის ქვეყნები, რომლებიც ადრე საბჭოთა კავშირის ნაწილი იყვნენ.

„ახლა ისინი დემოკრატიული ქვეყნები არიან, და შემიძლია გითხრათ, რომ ეს ორი ორგანიზაცია ერთი და იგივე არ არის“, — აღნიშნა მეიმ.

რაც უფრო „სუფთაა" არაყი...

დარწმუნებული ვარ, ბევრი გაკვირვებული დარჩება იმის გაგებით, რომ ლამის მთელ მსოფლიოში რუსულ ტრადიციულ სასმელად აღიარებული არაყი („რუსკაია ვოდკა") წარმომავლობით არც რუსულია, არც, მით უმეტეს, ტრადიციული.

კომპეტენტური მკვლევარების განცხადებით, მე-16 საუკუნემდე რუსეთში მხოლოდ სუსტ ალკოჰოლიან სასმელებს — სხვადასხვა სახეობის თაფლწყლებს, კვასებს, ლუდებსა და შჩის (ანუ შტის) სვამდნენ. ეს უკანასკნელი კვასის მაგვარი, შვრიისა და სხვა მარცვლოვნების ნატურალური დუღილის შედეგი იყო, რომელიც რამდენიმე გრადუს ალკოჰოლს შეიცავდა, რომელსაც მარტივად ამზადებდნენ: დანამულ და გაღივებულ მცენარეთა თესლს მდუღარეს ასხამდნენ, რის შედეგად ნატურალური შაქრების წყალობით ის დადუღებას იწყებდა. ამ დროს გაზიანობა იმდენად დიდი იყო, რომ კასრებს ხეთქავდა, შემდეგ სასმელი ბოთლებში გადაჰქონდათ, რომლებსაც საცობით ხუფავდნენ.

ტრადიციული „40-გრადუსიანი" კი, რომელიც ეთილის სპირტ-რექტიფიქატისა და წყლის ნაზავს წარმოადგენდა, რუსეთის იმპერიაში გაყიდვაში პირველად 1886 წელს გამოჩნდა. ამდენად, არაყის სმა თავდაპირველად რუსეთში კი დაიწყეს, მაგრამ თავად ეთილის სპირტი, რომელიც თანამედროვე არყის უმთავრესი კომპონენტია, აშკარად ევროპული გამოგონება.

ბევრის აზრით, არყის ოპტიმალური სიმაგრე 40 გრადუსი ცნობილმა ქიმიკოსმა დიმიტრი მენდელეევმა გამოითვალა, თუმცა ეს სინამდვილეს არ შეესაბამება. ჯერ კიდევ პეტრე I-ის 1698 წლის ბრძანებით, გასაყიდად ნებადართული იყო მხოლოდ „პოლუგარის" სტანდარტის პურის ღვინო. იმ დროს სპირტომეტრები არ არსებობდა, ამიტომ სასმლის სიმაგრეს გამოწვის ხერხით ადგენდნენ: მარცვლის ამ დისტილატის ორ სირჩას სპეციალურ სპილენძის ქვაბში ასხამდნენ, ადუღებდნენ და ცეცხლს უკიდებდნენ. როცა ცეცხლი ქრებოდა, ჭურჭლის ფსკერზე დარჩენილ წყალს იმ პირველ ორ სირჩაში ასხამდნენ. სტანდარტის შესაბამისად, დარჩენილ სითხეს ორის მაგივრად მხოლოდ ერთი სირჩა უნდა გაევსო. ამიტომაც იყო, რომ სასმელს „პოლუგარი", ანუ „ნახევრად დამწვარი" ეწოდებოდა.

გერმანელი მეცნიერის ი. ტრალესის მიერ სპირტომეტრის გამოგონების შემდეგ კი, პოლუგარის სიმაგრე 38,5 გრადუსით განისაზღვრა. 40 გრადუსამდე კი ეს მაჩვენებელი აწია 1866 წელს რუსეთის იმპერიის ფინანსთა მინისტრმა მიხეილ რეიტერნმა, რათა თავის მოხელეთათვის ანგარიში გაეიოლებინა.

თავის დისერტაციაში „სპირტისა და წყლის შეერთების თაობაზე" დ. მენდელეევი კი სულ სხვა რამეზე წერდა!

რაც შეეხება თავად სახელწოდება „ვოდკას" **(რომელსაც ჩვენში, უმეტესად დასავლეთ საქართველოში, ხშირად „ოტკას" უწოდებენ)**, ერთგვარი ქამელეონია. მე-16 საუკუნის დამდეგს „ვოდკა" მხოლოდ „წამალს", ანდა ჭაჭის საფუძველზე დაყენებულ ბალახეულ საფენს, რაღაც თანამედროვე მიქსტურების ან ნაყენების მსგავსს ნიშნავდა. მე-19 საუკუნიდან კი ამ სიტყვით ნებისმიერ მაგარ სასმელს აღნიშნავდნენ. მაგალითად, შეიძლება სულაც „სამეფო არყის" — აზოტისა და გოგირდმჟავების ნარევის მოტანა. რატომ მაინცდამაინც „არაყი"? იმიტომ, რომ ძალიან „მაგარია"!

საერთოდ კი, მაგარი ალკოჰოლი რუსეთის იმპერიაში მუდამ ძვირი ღირდა, ამდენად, მასზე ხელი ბევრს არ მიუწვდებოდა. მაგალითად, 1819 წელს ერთი ვედრო პოლუგარი (12,3 ლიტრი) 7 რუბლი ღირდა. ამ ფულით კი კაცს ძროხის ყიდვა შეეძლო!

არაყთან დაკავშირებით კიდევ ერთი საგულისხმო გარემოება იმაში მდგომარეობს, რომ **რაც უფრო მეტადაა გასუფთავებული არაყი, მით უფრო მავნე ყოფილა ორგანიზმისთვის!..**

თავის დროზე, 1895 წელს, რუსეთის იმპერიაში ღვინის წარმოების სახელმწიფო მონოპოლიის დაწესებისას ეთილის სპირტზე გადასვლას „სახალხო ჯანმრთელობაზე" ზრუნვით ხსნიდნენ, რაც შეგნებული სიცრუეა, რომლის კულტივაცია დღესაც ხდება. სინამდვილეში კი, **სუფთა სპირტისგან არყის წარმოება მისი დაბალი თვითღირებულებითაა განპირობებული. ცდებით დადასტურებულია, რომ სუფთა არაყი ორგანიზმის ალკოჰოლისადმი მიჩვევას ეთერზეთებით „დაბინძურებულ" ჭაჭის არაყზე 2,5-ჯერ უფრო სწრაფად იწვევს(!).** გამოკვლევებით ასევე დადგინდა, რომ რახის ზეთებსა და რთული ეთერების შემცველ დისტილატებს ორგანიზმისთვის ზიანი კი არ მოაქვთ, პირიქით, მასში მთავარი მტრის — ეთილის სპირტის შეღწევას აჩელებენ. ამიტომაცაა, რომ სტერილური სისუფთავე ყოველთვის უპირატესობა როდია. შხამი რაც უფრო სუფთაა, მით უფრო სახიფათოა.

ამდენად, **ძვირიანი არაყი იაფიანს არ სჯობს, რადგან ქიმიური შემადგენლობა ორივეს ერთნაირი აქვს.** გამოდის, რომ ხალხი არა იმდენად არაყს, რამდენადაც უფრო ეტიკეტებს „სვამს", ანუ ცნობილი ბრენდების გაცილებით ლამაზ გაფორმებულ ბოთლებს მეტად ეტანება. არადა, რომ იტყვიან, ყველას შიგთავსი, ფაქტობრივად, ისევე როგორც შედეგი, მაინც ერთია...

„არ მცალია, ბატონო, ტარაკნები მყავს მოსაწველი!.."

ჩვენი დრო საოცრებათა ჟამი მხოლოდ ციფრული ტექნოლოგიების გამო არ არის. ბოლო ხანებში საქვეყნოდ ისეთი რამეები ხდება ცნობილი, რომელთა შესახებ უწინ წარმოდგენაც არავის ჰქონდა. მაგალითად, რად ღირს ინფორმაცია იმის შესახებ, რომ მალე ძროხის რძეს... ტარაკნების რძე ჩაანაცვლებს(?!)

თქმა არ უნდა, ტარაკნების რძე ოქროზე ძვირი იქნება, თანაც „საქონლის ჯოგის რიცხოვნობა" მილიარდობით ერთეულს უნდა შეადგენდეს, რომ თუნდაც ერთ ჭიქას ეყოს.

ლაპარაკია იმაზე, რომ ამერიკის შეერთებული შტატების აიოვის უნივერსიტეტში მეცნიერები იმ საკვებს სწავლობენ, რომლითაც ტარაკნები თავიანთ ემბრიონებს კვებავენ. „რძე" მას მხოლოდ სიმბოლურად დაარქვეს, რადგან ეს, ფაქტობრივად, უაღრესად მაღალკალორიული კრისტალური ცილაა. სითხეში გახსნისას ის კამეჩის რძეზე სამჯერ უფრო კალორიულია. ამჟამად მეცნიერები იმაზე მუშაობენ, რომ მისგან საკვები შექმნან და გამოგონება დააპატენტონ.

ერთი კია: ადამიანის ჯანმრთელობისთვის ამ „მომავლის საკვების" უვნებლობის საკითხი სრულიად გაურკვეველია, რასაც მეცნიერები აღიარებენ. ამდენად, ტარაკნების „მოწველას" ისინი ჯერჯერობით არ აპირებენ, თუმცა კი გარკვეული იდეები აქვთ, რომელთა არსი ერთგვარი „საფუარის" შექმნაა, რომელიც ტარაკნების „რძეს" სინთეზირების შესაძლებლობას შექმნის.

იმის გათვალისწინებით, რომ რადიკალურმა ეკოლოგებმა ძროხის რძეს ომი გამოუცხადეს, რისი მიზეზიც ისაა, რომ ის თითქოსდა მეთანს გამოყოფს, რომელიც დედამიწის ოზონის შრეს ათხელებს, მაშინ გამორიცხული არ არის, რომ ტარაკნების „რძის" სინთეზისთვის ინვესტორებმა სოლიდური გრანტები გამოყონ.

თამბაქოსაც, ღვინოსაც, ქალებსაც...

აინშტაინის სახელობის ნიუ-იორკის სამედიცინო კოლეჯის მეცნიერთა მიერ ჩატარებული გამოკვლევის შედეგად გაირკვა, რომ ას წლამდე ასაკის მიღწეულთა 500 კაციდან უმრავლესობას შემორჩა მავნე ჩვევები და არ მისდევდა სპორტს.

— ცხოვრების ჯანსაღ წესს შეუძლია სიცოცხლის საგრძნობლად გახანგრძლივება, მაგრამ სნეულებებს, რომლებითაც უამრავი ადამიანი ილუპება (ონკოლოგიური და გულ-სისხლძარღვების) ხშირად გენეტიკური ბუნება აქვთ, — აცხადებენ ამასთან დაკავშირებით გენეტიკოსები.

ხვრინვის საფრთხე

მათ, ვინც ძილში ხვრინავს, ალცჰაიმერის დაავადების საფრთხე ემუქრებათ, — აცხადებენ ამერიკელი ექიმები.

გამოკვლევების შედეგად გაირკვა, რომ იმ ხალხს, ვინც ღამე ხვრინავს, თავის ტვინში განსაკუთრებულად მომწამლავი ცილა უგროვდებათ, რომელიც ალცჰაიმერის დაავადების განვითარების ნიშანია. ის მხვრინავ ადამიანთა სუნთქვის გაძნელების გამო ილექება.

საბედნიეროდ, საგანგებო ნიღბების გამოყენებით, რომლებიც ხვრინვასთან ბრძოლასა და თავის ტვინში ჟანგბადის მიწოდებას უზრუნველყოფენ, ამ სნეულების წარმოშობასთან წარმატებული ბრძოლის წარმოება შეუძლიათ. ხვრინვა კიდევ იმითაა სახიფათო, რომ მას ჰიპერტონიის, ასევე გულისა და ფილტვების მუშაობაში დარღვევების გამოწვევა შეუძლია.

სუნის ნიშანი

ყნოსვასთან დაკავშირებით პრობლემების წარმოშობა ალცჰაიმერის დაავადების ადრეული სიმპტომი ყოფილა.

ექიმებმა დაადგინეს, რომ იმ პაციენტებში, ვისაც „ხანდაზმულობის გონებასისუსტის" დიაგნოზი აქვს დასმული, ყნოსვის დაქვეითება იმაზე გაცილებით ადრე იწყება, ვიდრე მეხსიერებისა და ინტელექტის მოშლა. ეს გარემოება იმითაა განპირობებული, რომ გონებასისუსტე პირველ რიგში ტვინის იმ უბნებს აზიანებს, რომლებიც სუნების გამოცნობაზე არიან პასუხისმგებელნი.

ვის სძინავს ყველაზე კარგად?

მეცნიერებმა გააანალიზეს, თუ როდის წვებიან დასაძინებლად და როდის იღვიძებენ სხვადასხვა ქვეყნის მცხოვრებნი.

მიჩნეულია, რომ კაცს დღე-ღამეში 8 საათი უნდა ეძინოს, მაგრამ ამას ვერავინ ვერ ახერხებს. აღსანიშნავია, რომ, ზოგადად, მთელ მსოფლიოში ქალებს მამაკაცებზე, საშუალოდ, 30 წუთით მეტი სძინავთ.

მაინც, ვის სძინავს დედამიწაზე ყველაზე მეტი? „სლიფ ციკლის" სტატისტიკური დანართის მიხედვით, „მსოფლიოს ძილის რეიტინგი" ასეთია: 1. ახალი ზელანდია (7 საათი და 27 წუთი); 2. ფინეთი (7,24); 3. დიდი ბრიტანეთი (7.22); 4. საფრანგეთი (7.14); 5. აშშ (7.06); 6. სამხრეთ აფრიკა (7.04); ჩეხეთი (6.56); 9. საბერძნეთი (6.54); 10-11. პოლონეთი, რუსეთი (6.45); 12. ჩინეთი (6.43); 13. სინგაპური (6.34); ფილიპინები (6.08); 15. იაპონია (5.52).

კბილების დამცველი კოცნა

თურმე, კოცნა... კარიერისგან გვიცავს.

მკვლევარებმა დაადგინეს, რომ კოცნის დროს დიდი ოდენობით ფოსფორითა და კალციუმით მდიდარი ნერწყვი გამოიყოფა, რომელიც კბილებს კარიესული პროცესებისგან იცავს. ექიმებმა დაითვალეს, რომ დაცვის მაქსიმალური ეფექტის მქონე კოცნა, არანაკლებ 2 წუთისა უნდა გრძელდებოდეს.

ᲭᲐᲓᲠᲐᲙᲘ

ᲥᲐᲚᲔᲑᲨᲘ ᲡᲝᲛᲮᲔᲗᲘ, ᲕᲐᲟᲔᲑᲨᲘ – ᲡᲐᲛᲔᲣᲚᲘ

ᲐᲩᲐᲠᲘᲡ დედაქალაქში მსოფლიოს 43-ე საჭადრაკო ოლიმპიადის მე-7 ტურის შეხვედრები გაიმართა. საქართველოს ქალთა პირველი ნაკრები ინდოეთს დაუზავდა და 12 ქულით მეორე-მეხუთე ადგილებს იყოფს. 13 ქულით სომხეთის ნაკრები ლიდერობს, ვაჟებში კი 13-13 ქულით პირველ-მესამე ადგილებს აზერბაიჯანი, პოლონეთი და აშშ იყოფენ.

ᲥᲐᲚᲔᲑᲘ

ინდოეთი-საქართველო (1) 2:2 (ჰამპი კონერუ – ნანა ძაგნიძე 0.5:0.5, ჰარიკა დრონავალი – ლელა ჯავახიშვილი 0.5:0.5, ტანია საჩდევი – ნინო ბაციაშვილი 0.5:0.5, რუთ რადმინი – ბელა ხოტენაშვილი 0.5:0.5), **ფილიპინები – საქართველო (2)** 1:3 (მაი ფრაინა – სალომე მელია 0.5:0.5, მაი მენდოზა – ინგა ჭარხალაშვილი 0:1, მარი სან დიეგო-სოფიო გვეტაძე 0.5:0.5, ბერნარდა გალასი – მირანდა მიქაძე 0:1), **საქართველო (3) – ავსტრია** 4:0 (ნინო ხომერიკი – ვერონიკა ექსლერი 1:0, მარიამ ჯანიაშვილი – კატარინა ნევრკლა 1:0, ლილე ქორიძე-ბარბარა ტეუშლერი 1:0, თამარ ესაძე-ანიკა ფროევიჩი 1:0)... **სომხეთი-აშშ 2.5:1.5, ირანი – უკრაინა 1.5:2.5, რუმინეთი – უზბეკეთი 2.5:1.5, პერუ – ლიეტუვა 2:2, საბერძნეთი – რუსეთი 1:3, ჩინეთი – ჰოლანდია 3:1, იტალია – აზერბაიჯანი 2:2, ყაზახეთი – არგენტინა 3.5:0.5, სერბეთი – უნგრეთი 0.5:3.5.**

შვიდი ტურის შემდეგ: სომხეთი – 13 (საერთო მონაგარი 20 ქულა), ჩინეთი (20), უკრაინა (20), საქართველო –1 (19), რუმინეთი (19.5) – 12-12; შვიდ გუნდს, მათ შორის – საქართველოს მეორე ნაკრებს, 11-11 ქულა აქვს. 29. საქართველო (3) – 9 ქულა.

ᲕᲐᲟᲔᲑᲘ

საქართველო (3) – მოლდოვა 1:3 (ნოე თუთისანი-ვიორელ იორდანესკუ 0.5:0.5, ნიკოლოზ პეტრიაშვილი – ვლადიმირ ჰამატევიჩი 0.5:0.5, ნიკოლოზ კაჭარავა – დმიტრი სვეტუშკინი 0:1, გიორგი სიბაშვილი – ნიკიტა მოროზოვი 0:1), **საქართველო (1) – მაკედონია** 4:0 (ბაადურ ჯობავა – კირილ გეორგიევი 1:0, ივან ჩეპარინოვი – ფილიპ პანჩევსკი 1:0, ლევან ფანცულაია – თრაიკო ნედევი 1:0, დავით ჯოჯუა – ნიკოლა ნიკოლოვსკი 1:0), **კოლუმბია – საქართველო (2)** 2.5:1.5 (ფილიპ ანდრეას გალეგო – დავით მაღალაშვილი 0.5:0.5, კრისტიან კამილო რიოსი – თორნიკე სანიკიძე 0.5:0.5, ფილიპ სებასტიან სანჩესი – ირაკლი ბერაძე 1:0, მარტინ მარტინეს რომერო – გიგა ყუფარაძე 0.5:0.5)... **პოლონეთი – აზერბაიჯანი 2:2, ხორვატია – აშშ 1:3, უკრაინა – ჩინეთი 2:2, ჩეხეთი – ისრაელი 2:2, გერმანია – ჰოლანდია 2:2, ინდოეთი – ეგვიპტე 2.5:1.5, სერბეთი – რუსეთი 2:2, ბელარუსი – სომხეთი 1.5:2.5, უნგრეთი – საფრანგეთი 1:3, არგენტინა – ინგლისი 1.5:2.5.**

შვიდი ტურის შემდეგ: აზერბაიჯანი (21), პოლონეთი (20.5), აშშ (20.5) – 13-13, სომხეთი – 12 (19.5), 10 გუნდს 11-11 ქულა აქვს. 24. საქართველო (1) – 10 (18.5), 51. საქართველო (2) – 8 (16), 53. საქართველო (3) – 8 (17).

ᲚᲔᲥᲡᲝ ᲪᲘᲜᲪᲐᲫᲔ

ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘ

ᲤᲘᲤᲐᲛ ᲙᲣᲠᲡᲔᲑᲘ ᲒᲐᲮᲡᲜᲐ

ᲤᲘᲤᲐᲛ თავის ოფიციალურ საიტზე ისტორიაში პირველი ვიდეორეფერის კურსების დაარსების შესახებ გამოაცხადა, რომელიც გუშინ მადრიდში ოფიციალურად გაიხსნა.

ღონისძიებაში ახლო წარსულში ცნობილი არბიტრები პიერლუიჯი კოლინა და მასიმო ბუზაკა მონაწილეობდნენ, რომლებიც ამჟამად ფიფას სამსაჯო სტრუქტურაში მუშაობენ. ორგანიზატორთა თქმით, კურსების დაარსება მას შემდეგ გადაწყვიტეს, რაც სიახლემ ახლახან დამთავრებულ მსოფლიო ჩემპიონატზე დიდი მოწონება დაიმსახურა.

კურსები ერთკვირიანია. ინსტრუქტორებს მატჩების ოფიციალურ პირებთან ურთიერთობას და ტექნიკასთან მუშაობის პრინციპებს ასწავლიან.

ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲨᲝᲗᲐᲫᲔ

ᲠᲩᲔᲣᲚᲜᲘ

MVP-Ს ᲢᲘᲢᲣᲚᲘᲡ 10 ᲛᲐᲫᲘᲔᲑᲔᲚᲘ

ᲡᲐᲙᲐᲚᲐᲗᲑᲣᲠᲗᲝ ევროლიგის ახალი სეზონი სტარტს 11 ოქტომბერს აიღებს, მანამდე კი ტურნირის ოფიციალურ ვებ-გვერდზე მისი MVP-ს ტიტულის 10 უმთავრესი კანდიდატის სია გამოქვეყნდა. სასიხარულოა, რომ მათ შორის ესპანური „ბასკონიას“ ქართველი ლეგიონერი თორნიკე შენგელიაც მოხვდა, რომელსაც მე-5 პოზიცია მიუჩინეს.

ცნობისთვის: აქამდე ხსენებული წოდება 7 კლუბის 13 წარმომადგენელს აქვს მოგებული, თელ ავივის „მაკაბის“ ამერიკელი კალათბურთელი ტონი პარკერი კი ერთადერთია, ვინც ჯილდო 2-ჯერ (2005, 2006) დაიმსახურა.

რჩეულთა სიაში უკვე პენსიაში გასული ვარსკვლავები – თეო პაპალუკასი, რამუნას შიშკაუსკასი და ხუან კარლოს ნავაროკ არიან, ასევე ისინიც, ვისაც მომავალი სეზონის MVP-ს ტიტულის მაძიებლებში ვხედავთ: ვასილის სპანულისი (ჯილდო 2013 წელს ერგო), სერხიო როდრიგესი (2014), ნანდო დე კოლო (2016) და სერხიო ლული (2017).

ახლა კი ისევ შენგელიას დავუბრუნდეთ, რომელსაც ევროლიგის საიტი ასე ახასიათებს: „თორნიკე შენგელია ერთ-ერთი კალათბურთელია, რომელსაც გამორჩეული სეზონი ჰქონდა და ტურნირის ყველაზე პროდუქტიულ და შედეგიან „ბიგ მენად“ იქცა. თორნიკეს მე-3 საშუალო მაჩვენებლები ჰქონდა სარგებლიანობის კოეფიციენტებში (18.2), ქულებსა (13.7) და მოხსნებში (6.2).

ამ შედეგის წყალობით შენგელია ევროლიგის პირველ სიმბოლურ ხუთეულში მოხვდა და, რაც მთავარია, ის „ბასკონიას“ უდავო ლიდერად ჩამოყალიბდა, გუნდისა, რომელიც გაისად ევროლიგის „ოთხთა ფინალის“ მასპინძელი იქნება. თუკი თორნიკემ მომავალ სეზონშიც გაიბრწყინა, მას შანსი ექნება პირველი კალათბურთელი გახდეს, ვინც MVP-ს ტიტულს ევროლიგის ჩემპიონის რანგში მიიღებს.

აქვე პრეტენდენტთა ათეულის სრულ შემადგენლობასაც გაგაცნობთ: **10. სკოტი ვილბეკინი („მაკაბი“), 9. ვასილის სპანულისი („ოლიმპიაკოსი“), 8. სერხიო როდრიგესი (ცსკა), 7. მაიკ ჯეიმსი („მილანი“), 6. იან ვესელი („ფენერბაჰჩე“), 5. თორნიკე შენგელია („ბასკონია“), 4. ალექსეი შვედი („ხიმკი“), 3. სერხიო ლული („რეალი“), 2. ნანდო დე კოლო (ცსკა), 1. ნიკ კალატესი („პანათინაიკოსი“).**

და ერთიც. შენგელიას „ბასკონიას“ ევროლიგის ახალი სეზონის სასტარტო მატჩი 12 ოქტომბერს ელის, როდესაც ლიეტუვაში კაუნასის „ჟალგირისს“ ეთამაშება.

ᲕᲘᲢᲐᲚᲘ ᲯᲐᲤᲐᲠᲘᲫᲔ

ᲩᲝᲒᲑᲣᲠᲗᲘ

ᲑᲐᲡᲘᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ ᲕᲔᲠᲓᲐᲡᲙᲝᲡᲗᲐᲜ ᲛᲐᲢᲩᲘ ᲔᲚᲘᲡ

ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ ჩოგბურთელი ნიკოლოზ ბასილაშვილი ჩინეთის დედაქალაქ პეკინში დაწყებულ პრესტიჟულ საერთაშორისო ტურნირში (საპრიზო ფონდი 4 658 510 დოლარი) ჩაერთო და საწყის წრეში ორსაათნახევარში ამერიკელ ჯეკ სოკს 6:7 (6:8), 7:5, 6:2 სძლია.

აღსანიშნავია, რომ პირველ სეტში ნიკოლოზმა 5 ბრეიკ-პოინტი ვერ გამოიყენა და ტაი-ბრეიკზე წააგო, მე-2 სეტში 5:5-ზე ქართველი ჩოგბურთელი მიჯრით ორ გეიმში 0:40 მარცხდებოდა, თუმცა, ორივე შემთხვევაში იმარჯვა, მე-3 სეტში კი 2:2-დან ზედიზედ 4 გეიმი მოიგო.

ცნობისთვის: ბასილაშვილმა მსოფლიო რეიტინგში მე-17 ადგილზე მყოფ სოკს წლეულს უკვე მეორედ მოუგო. 2018 წლის აშშ-ს ღია პირველობაზე ნიკოლოზმა ჯეკთან პირველი სეტი ასევე დათმო, მაგრამ საბოლოოდ 4:6, 6:3, 6:2, 7:6 (7:3) სძლია. ამ წარმატების წყალობით ბასილაშვილმა ჩინეთში 45 სარეიტინგო გამოიმუშავა და 1302 ქულით ე.წ. „ლაივ-რეიტინგში“ მისთვის სარეკორდო 30-ე ადგილზე გადაინაცვლა.

უკვე ცნობილია, რომ პეკინის ტურნირის მერვედფინალში ბასილაშვილის მეტოქე ესპანელი ფერნანდო ვერდასკო იქნება, რომელმაც ფრანგ გაელ მონფილსს 2:6, 7:6 (7:3), 7:6 (7:5) სძლია. თუკი ნიკოლოზმა პირენეელსაც აჯობა, 90 ქულას მიიღებს.

ᲙᲝᲑᲐ ᲙᲝᲑᲐᲮᲘᲫᲔ

ᲠᲔᲢᲠᲝ

ᲛᲝᲜᲐᲢᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲥᲣᲩᲘᲡ ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘ

დღეს გაზეთის ფურცლებზე თუ პირად საუბრებში ბევრს ლაპარაკობენ ქართულ ფეხბურთში დამკვიდრებულ უამრავ ნეგატიურ მოვლენაზე, მაგრამ მთავარ პრობლემას, რითაც ქართული ფეხბურთი გაღარიბდა, არავინ ახსენებს.

საქმე კი ის გახლავთ, რომ საქართველოს ქალაქებში, სოფლებში ეზოსა და ქუჩის ფეხბურთს აღარავინ თამაშობს. ამ წერილის ავტორის ფეხბურთისადმი გამორჩეული სიყვარული ნახევარ საუკუნეზე მეტს ითვლის. როცა ვუყურებ ქართული ფეხბურთის წარუმატებლობას, გული მტკივა, როგორ გვაკვდება იგი ხელში. როგორც ყველა მოზარდი, ფეხბურთის ანბანს მეც ქუჩაში ვეზიარე. კარგად მახსოვს ჩემი სახლი მაშინდელ მოსკოვის ქუჩაზე (ახლა ჩხეიძის სახელს რომ ატარებს), როგორი გატაცებით, დილიდან საღამომდე თავდავიწყებით დავდევდით ბურთს, ზედა უბანი ქვედა უბანს ვეჯიბრებოდით. იმ წლებში მანქანების რაოდენობაც ნაკლები იყო. მიუხედავად ამისა, მძღოლებისგან საყვედური და ზოგჯერ ყვირილიც კი გვახსოვს, მაგრამ ქუჩის ფეხბურთს ვერ ვთმობდით. სულ მალე გამოჩნდა ტერიტორია, სადაც გავაგრძელეთ თამაში. კარის ძელები ჩვენი მონდომებით გავაკეთეთ, გუნდების რაოდენობაც გაიზარდა, განსაკუთრებით ზაფხულის არდადეგებზე, როდესაც ზესტაფონს სტუმრობდნენ დასასვენებლად ჩამოსული მოზარდები. ორი-სამი წლის შემდეგ გამოგვიცხადეს, რომ იმ ადგილზე საბავშვო ბაღი აშენდებოდა, რომელიც დღესაც ფუნქციონირებს.

ბოლო უსაფრთხო ადგილი ყოფილი ტექნიკუმის ტერიტორია იყო. რა თქმა უნდა, ჩვენ გატაცებას მშობლებიც ანგარიშს უწევდნენ, რადგან გაკვეთილების მომზადებისთვის მუდამ გვრჩებოდა დრო. სამსახურის შემდეგ უფროსი თაობის ბიძები დიდი ინტერესით ადევნებდნენ თვალს ჩვენს თამაშს. კარგად მახსოვს უბნის საყვარელმა პიროვნებამ რომან მექვაბიძემ ნაღდი, ჩეხური კოპლებიანი ბურთი რომ გვაჩუქა...

ადამიანს ასაკი რომ ემატება, მონატრებაც მძლავრობს. ბავშვობის წლებზე დაუსრულებლად შეიძლება საუბარი. შემდეგ იყო სტუდენტობის წლები. ზესტაფონში რომ ჩავდიოდი, იმ წამს სტადიონისკენ გავრბოდი, რადგან იქ მელოდებოდა ბავშვობის წლების მონატრებული გარემო. ასე გაგრძელდა მანამ, სანამ ოთხმოცდაათიანი წლების მძიმე პრობლემებმა არ იჩინა თავი. მიუხედავად ასეთი ყოფისა, ფეხბურთის თამაშისთვის დრო ყოველთვის გვრჩებოდა და ისევ იმ ხალხის გარემოცვაში ვტრიალებდით, რომელიც სკოლის ასაკიდან მოგვყვებოდა.

ახლა, როცა წლები გავიდა, მივხვდი, რომ წარსულს ვერანაირად დაიბრუნებ. გული მწყდება იმაზე,რომ მაშინდელი მეგობრები, ვის გვერდითაც ყოველდღიურად ბურთს დავდევდით, ქვეყნიდან გადაიხვეწნენ ოჯახის სარჩენად. ბევრი ცოცხალიც აღარ არის. სევდა მომეძალა და გულდამძიმებული ვწერ... დღეს სათამაშო მოედნები, საითაც უნდა გაიხედო, დაცარიელებული და სიცოცხლეწართმეულია... ნათქვამია, დაკარგულ წლებს საუკუნეც ვერ დაიბრუნებს. ეს სიბრძნე ჩემი თაობის ხალხმა საკუთარ თავზე გამოვცადეთ.

მე სკოლაში სპორტს ვასწავლი. ის, რომ მოსწავლეებმა ფეხბურთი ითამაშონ, ჩემი უპირველესი ვალდებულებაა და პასუხისმგებლობას არასდროს გავექცევი. მინდა მოვუწოდო კოლეგებს: დავეხმაროთ ბავშვებს ფეხბურთის შეყვარებაში. მერწმუნეთ, პედაგოგებზე ბევრი რამ არის დამოკიდებული. ერთეულთა გამონათებები საქმეს ვერ უშველის, ერთი მერცხლის ჭიკჭიკი გაზაფხულს ვერ მოიყვანს. დავფიქრდეთ, ვაჩუქოთ ბავშვებს სიხარული. მათი კმაყოფილება კი ჩვენც დიდ სიამოვნებას მოგვანიჭებს. მხოლოდ ასეთი მიდგომით თუ დავაბრუნებთ მოზარდებს საფეხბურთო მოედნებზე.

ᲑᲔᲟᲐᲜ ᲩᲮᲔᲘᲫᲔ,
ᲖᲔᲡᲢᲐᲤᲝᲜᲘ

არა ცელოფანს!

2018 წლის 1 ოქტომბრიდან საქართველოში აიკრძალა პოლიეთილენის პარკების წარმოება, გამოყენება და იმპორტი. თავიდან აკრძალვა ე.წ. ერთჯერად პარკებს შეეხება, რომლებიც მრავლად გამოიყენება ყველა სავაჭრო ობიექტში. 1 აპრილიდან კი აიკრძალება ნებისმიერი სისქის არაბიოდეგრადირებადი პოლიეთილენის პარკის გამოყენებაც და წარმოებაც.

საქართველოს მთავრობის № 472 დადგენილება, ტექნიკური რეგლამენტის – პლასტიკისა და ბიოდეგრადირებადი პარკების რეგულირების წესის დამტკიცების შესახებ, ამბობს, რომ 2018 წლის 1 ოქტომბრიდან, შეიცვლება მოთხოვნები, საქართველოს ტერიტორიაზე პლასტიკის პარკების, ასევე ბიოდეგრადირებადი და კომპოსტირებადი პარკების წარმოებასთან, იმპორტსა და რეალიზაციასთან დაკავშირებით.

მიზანი – გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობაზე გამოწვეული მავნე ზემოქმედების შემცირება.

რას გულისხმობს ცვლილება?

1 ოქტომბრიდან საქართველოს ტერიტორიაზე დაშვებული იქნება მხოლოდ ბიოდეგრადირებადი და კომპოსტირებადი პარკების წარმოება, იმპორტი და რეალიზაცია.

როგორ მივხვდეთ, რომ პოლიეთილენის პარკი ბიოდეგრადირებადია? მასზე დატანილი უნდა იყოს შემდეგი სავალდებულო ინფორმაცია:

1. **პლასტიკის პარკის მწარმოებელი;**
2. **პლასტიკის პარკის სისქე;**
3. **პლასტიკის პარკის შემადგენლობა;**

ახალი წესის თანახმად, ინფორმაცია პარკზე უნდა განთავსდეს გამოსაჩენ ადგილას, ხედვის ერთ არეალში. დაუშვებელია ინფორმაციის გადაფარვა სხვა წარწერით ან ნახატით.

წესის დარღვევა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით დაისჯება. ჯარიმა პირველ ჯერზე 500 ლარია, გამეორების შემთხვევაში – 1000.

კავკასიის გარემოსდაცვითი ორგანიზაციების ქსელის (CENN) პროგრამის – „ნარჩენების მართვის ტექნოლოგია რეგიონებში“ (WMTR) წარმომადგენელი სალომე სულაბერიძე რადიო „თავისუფლებასთან“ ინტერვიუში შენიშნავს, რომ პოლიეთილენის პარკის გამოყენების ვადა 15 წუთია. მის გახრწნა/დაშლას კი გარემოში 450 წელი და მეტი სჭირდება. მისივე თქმით, 1950-იანი წლებიდან წარმოებული პლასტმასი დღემდე გარემოშია.

საქართველო რეგიონში პირველი ძვეყანაა, სადაც პოლიეთილენის პარკები აიკრძალება.

ანსამბლი „ლილე“ საბერძნეთის ფესტივალის გამარჯვებული გახდა

საქართველოს ყრუთა კავშირთან არსებულმა ქორეოგრაფიულმა ანსამბლმა „ლილემ“ საბერძნეთში, ხელოვნების საერთაშორისო ფესტივალზე „იდეების ტალღა“, პირველი საპრიზო ადგილი მოიპოვა.

ანსამბლმა „ლილემ“ მიიღო განსაკუთრებული ჯილდო და საგანგებო მოწვევა ფესტივალის ორგანიზატორებისაგან, რაც მას ყოველგვარი საფესტივალო მოსაკრებელი თანხის გადახდისგან ათავისუფლებს.

ცნობისთვის, „საქართველოს ყრუთა კავშირთან“ არსებული ქორეოგრაფიული ანსამბლის „ლილეს“ წევრები, ყრუ და სმენადაქვეითებული მოცეკვავეები არიან, რომლებმაც გამარჯვება თანაბარ პირობებში მოიპოვეს.

სანთელი

ქ. თბილისში მცხოვრები ფოთელების საზოგადოების გამგეობა იუწყება, რომ გარდაიცვალა ბავშვობისა და სკოლის წლების მეგობარი

ანზორ გურგენაძე

და უსამძიმრებს მის ოჯახსა და ძმას ჯემალ გურგენაძეს.

ხსოვნა

მეუღლე ქეთევან შერვაშიძე, შვილები ვანო, კოტე ხოფერიები, და ნინო ხოფერია ოჯახით, შვილიშვილები სანდრო, ნინო, ქეთევანი, რძლები მარეხ კოპაძე, გურანდა დათაშვილი ოჯახით, მძახლები ნაირა მედოიძე, იოსებ კოპაძე ოჯახით, დეიდა გენრიეტა ვანიძე ოჯახით, ბიძაშვილები ნუკრი, მირანდა ოჯახებით იუწყებიან

ავთანდილ ხოფერიას

გარდაცვალებას.

პანაშვიდი: 3 X, 16 სთ, გამოსვენება 4 X, 14 სთ. მისამართი: ვაჟა-ფშაველას V კვარტალი, IV კორპუსი, X სადარბაზო, VII სართული.

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია გულწრფელად თანაუგრძნობს რედაქციის წამყვან თანამშრომელს ნინო ხოფერიას ძმის

ავთანდილ ხოფერიას

გარდაცვალების გამო.

ხსოვნა

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო მწუხარებას გამოთქვამენ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ეკონომიკის ყოფილი მინისტრის

ნუგზარ სექანიას

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

საქართველოში საკეისრო კვეთების წილი გაიზარდა!

რეგულაციების მიუხედავად, საქართველოში საკეისრო კვეთების წილი გაიზარდა. წინასწარი მონაცემებით, 2017 წელს, საქართველოში მშობიარობების 44,6% საკეისრო კვეთებზე მოდიოდა. დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის ინფორმაციით, 2017 წელს საქართველოში 52660 მშობიარობა დაფიქსირდა, მათგან 23471 შემთხვევაში (რაც 44.6%0-ს შეადგენს) საკეისრო კვეთა გაკეთდა.

ქვეყანაში 2016 წელს 24 461 საკეისრო კვეთა გაკეთდა, რაც მშობიარობათა საერთო რაოდენობის 43.7% იყო.

რატომ ვერ მცირდება ქვეყანაში საკეისრო კვეთების წილი და რაშია გამოსავალი? ამის გარკვევა „კომერსანტმა“ „პინეო“ სამედიცინო ეკოსისტემის სამედიცინო დირექტორთან, მედიცინის დოქტორსა და მეან-გინეკოლოგ **ზაზა სინაურიძესთან** სცადა. **მისი განმარტებით, საკეისრო კვეთების წილის არშემცირების ტენდენცია მულტიფაქტორული პრობლემაა.**

აქ პრობლემა კომპლექსურია. კერძოდ, მოსახლეობას არ აქვს შესაბამისი განათლება, თუ რამდენად ცუდი და რთულია საკეისრო კვეთა, ვიდრე ფიზიოლოგიური მშობიარობა. მით უფრო, თუ საქმე გვაქვს განმეორებით საკეისრო კვეთასთან, რაც ძალიან ხშირია. ანუ, როდესაც ქალს პირველ შემთხვევაშიც აქვს საკეისრო და მეორედაც იკეთებს.

მისი განცხადებით, მაგალითად, „პინეოში“ საკეისრო კვეთების რაოდენობა ზუსტად 15 პროცენტით შემცირდა და დღევანდელი მდგომარეობით მთლიანი მშობიარობის 23 -25 პროცენტს შეადგენს. როგორც სინაურიძე განმარტავს, ამ შემთხვევაში განმსაზღვრელია თავად დაწესებულების მენეჯმენტის როლი, რადგან სხვადასხვა პირობებში საქმე არასწორ მიდგომასთან გვაქვს ხოლმე.

„განათლება მიმართული უნდა იყოს უშუალოდ ექიმისთვის და ასევე პაციენტებისთვის. ძალიან ხშირად, კლინიკებში მიდიან მშობიარეები და ერთმნიშვნელოვნად, ჯიუტად მოითხოვენ საკეისრო კვეთის ჩატარებას, რაც არასწორია. მათ არ იციან, თუ რა უარყოფითი მხარე აქვს საკეისრო კვეთას“ – განმარტავს სინაურიძე. მისი მოსაზრებით, აუცილებელია, რომ სახელმწიფომ ამ მიმართულებით კიდევ უფრო მეტი რეგულაცია დააწესოს, რათა ვითარება გაკონტროლდეს. სტატისტიკიდან გამომდინარე, არსებული რეგულაციები საკმარისი არ არის.

მეორე კომპონენტი ექიმებისა და კლინიკების მხრიდან ფინანსური დაინტერესებაა. სინაურიძის განცხადებით, ექიმები პაციენტებთან საკეისრიოს ერთგვარ პოპულარიზაციას ახდენენ. ეს არის მიზეზი იმისა, რომ არ მცირდება საკეისრო კვეთების რაოდენობა, ამას ემატება ექიმების ფინანსური დაინტერესება და პასუხისმგებლობისგან თავის არიდება. სინაურიძის განცხადებით, ხვრელებია კანონმდებლობაშიც. კერძოდ, კანონში წერია, რომ მშობიარობის ფორმის ამრჩევი პაციენტია. შედეგად, თუ მან არაპროფესიონალი ადამიანების რჩევით აირჩია საკეისრო კვეთა, ამ შემთხვევაში ექიმი უძლურია. მისივე განცხადებით, პრობლემაა ისიც, რომ ქვეყანაში ჯანდაცვის მენეჯერები პრაქტიკულად არ არსებობენ.

„რა მნიშვნელობა აქვს თითო ქეისში, ფიზიოლოგიური მშობიარობის შემთხვევაში 500 ლარის ნაცვლად 800 ლარს (საკეისრო კვეთის ღირებულება) აიღებ და მერე ამას ჯარიმის სახით დააბრუნებ თუ არ მიიღებ ამას. შესაბამისად, მმართველობას დიდი მნიშვნელობა აქვს. ჩვენს ქვეყანაში ჯანდაცვის მენეჯერები პრაქტიკულად არ არსებობენ,რადგან არასდროს ამის ბაზა არ იყო. საბჭოთა სისტემიდან კაპიტალისტურში გადავხტით. გარდამავალ პერიოდში ვერ ისწავლა ამ ხალხმა. რამდენიმე ადამიანი, ვინც ისწავლა, მართავს დაწესებულებებს“, – აცხადებს სინაურიძე.

როგორც ცნობილია, ჯანდაცვის სამინისტრო სამშობიარო კლინიკების სელექტიურ კონტრაქტირებას 2017 წლის პირველი მარტიდან ახორციელებს. კლინიკები, რომლებიც ვერ მიიღებენ სპეციალურ დონეს და წელიწადში მინიმუმ 500 მშობიარე არ ეყოლებათ, ვეღარ ერთვებიან საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამაში. რაც შეეხება ჯარიმების დაკისრებას, აღნიშნული სანქცია საკეისრო კვეთების რაოდენობის შემცირების არდაფიქსირების შემთხვევაში წესდება.

გასული წლის პირველი მარტიდან 2018 წლის ივნისის მდგომარეობით, 17-მდე სამშობიარო დაწესებულება საკეისრო კვეთების რაოდენობის ზრდის გამო დაჯარიმდა, 5 კი – საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამას გამოეთიშა. სოციალური მომსახურების სააგენტოს ინფორმაციით, დაჯარიმებულებს შორის მოხვდა ისეთი ცნობილი სამშობიარო კლინიკები, როგორიცაა **სს ჩაჩავას ლინიკა, შპს აკადემიკოს ო.ღუდუშაურის სახელობის ეროვნული სამედიცინო ცენტრი, შპს დავით დავარაშვილის კლინიკა, შპს „იმედის“ კლინიკა, შპს „ჰერა“ 2011.**

სოფო ქსოვრელი

◎ ვის გამო რეკავს ზარი!

პოლიტიკური სატირა, შუმი გაცნების სატირლად

მთხლის და ღვინის ვაჭარია,
კრემლში პური ნაჭამი აქვს
და „დერუავულ“ გაგეგებში
დადიოდა „კაგებში“...
მიაღწია მიზანს რითა?
დიდჩინოსან სიმამრითა!
(აუხდინა იმან ნატვრა,
განამწესა დიპლომატად,
მაგრამ აღარ ლაპარაკობს,
რომ უმადლის გაიაგაკოვს!)
მისთვის ჩვეულ ამგიციით,
იმ გიძიით, ამ გიძიით,
გამყიდველის „ასორტით“ და
ხელში რუსულ პასპორტითა,
მოგვივლინეს საგანგებოდ
მინისტრად, თან – **სა-გა-რე-ოდ...**
ხუთდღიანი სისხლის ღვრიდან
გაიშიფრა, ვინ რად ღირდა,
როცა კრემლი გომგეგს ყრიდა,
ვინ გარგოდა წითელ ხიდთან...
რას შვრებოდა მაშინ „ხვითო“?
მოდი, მწარედ ვიხითხითოთ!

გააკვირვა თვითონ მტრებიც:
შესთავაზა **კონ-ცერ-ტე-ბი,**
ეტრაგახა კრუტუნითა
თავის რუსულ კულტურითაც,
იტრაგახა კრუტუნითა
სუნთქვა ,,რუსულ კულტურითა“,
თან შეჰპირდა, მათთან ნინო,
ძალზე ხშირად არონინოს,
რადგან პრიმაგალერინობს!
მერე-მერე?..
მერე რა და,
ვინც ჩვენ სული ამოგვხადა,
რომ განდევნა უკრაინამ,
გრიშას თვალი უკრა იმან –
ავაზაკმა შარაგზისა,
მკვლელმა გურამ შარაძისა.
მასთან ერთად უხმო ნაცად
ათ პარტიას – თითოკაცას.
და დაგეგმეს ამსტერდამში,
ჭორბიუროს ფრთებს რით გაშლის,
„ცრუსთავორის“ უსტაგაში...
„სლოგანიც“ იქ გაშანსესა:
„ტაში-ტუში ვაშაძესა!“
სხვებისათვის დარჩა ქუში
წყევლა-კრულვა, ვაი-ვუში!
ოქტომბრის თვის ოცდარვაში
შეკაზმული გვყავდეს რაში!
ქალაქკომის მდივნის შვილებს,
დღემდე რომ ვერ გამოვხშირეთ,
უბოდიშოდ დებოშიანთ,
ვუთხრათ, ბინა დეპოში აქვთ...
არა მკვლელებს, სისხლით
გამძღრებს,
თუ ხმას მივცემთ, ვინც მათ
ლანძღეს,
დავარისხებთ
ამით ზარებს,
ქვეყანას რომ
აზანზარებს!

ალექსანდრე შენგელია
ქუთაისი

საქართველო ყველასთვის სასიამოვნო ტურისტული დანიშნულების ადგილია

ფინელი ჟურნალისტი სვანეთის სილამაზით შვეიცარიის ალპებს ადარებს

ფინეთის უმსხვილესმა ყოველდღიურმა გაზეთმა Helsingin Sanomat გამოაქვეყნა სტატია საქართველოს, როგორც „ყველასთვის სასიამოვნო ტურისტული დანიშნულების ადგილის შესახებ,“ რომელიც ევროპისა და აზიის გასაყარზე მდებარეობს. სტატიის თანახმად, საქართველოს მთაში დრო თითქოს გაჩერებულია, ხოლო ქალაქებში ძველი და თანამედროვე შენობები ორგანულადაა შერწყმული.

ფინური გაზეთის კორესპონდენტი საქართველოში მოგზაურობის აღწერას სვანეთიდან

იწყებს. იგი აღფრთოვანებას ვერ მალავს სვანეთის ბუნებით და სპეციფიკური კულტურით, მოხიბლულია სვანეთის სილამაზით და მას შვეიცარიის ალპებს ადარებს. ავტორი ასევე აღნიშნავს, რომ სოფლების უმეტესობა დაცლილია მოსახლეობისგან, თუმცა ტურისტული სფეროს გააქტიურება ხელს უწყობს მოსახლეობის დაბრუნებას ამ ადგილებში, განსაკუთრებით ზაფხულის თვეებში.

სვანეთის შემდეგ, ბათუმი ფინელ ჟურნალისტს კულტურულ შოკს გვრის მისი ცათამბჯენებით, კაზინოებითა და ზღვისპირა ბულვარში შადრევნებსა და პალმებში მოსეირნე უამრავი ტურისტით. როგორც ავტორი აღნიშნავს, მიუხედავად იმისა, რომ ქალაქის მოსახლეობა 150 000-ია, ბათუმი უფრო მასშტაბური ქალაქის შთაბეჭდილებას ტოვებს. მის ყურადღებას ასევე იქცევს ქალაქის არქიტექტურა, რომელიც მოიცავს თანამედროვე და ძველ შენობებს და განსაკუთრებულ აქცენტს აკეთებს ორსართულიან, ფართო აივნებიან სახლებზე. ავტორი აღნიშნავს, რომ ბათუმში არსებული კაზინოები აზარტული თამაშის მოყვარულებსაც იზიდავს მეზობელი ქვეყნებიდან.

ფინური გამოცემის სტატიაში განსაკუთრებული ადგილი ეთმობა საქართველოს დედაქალაქს. როგორც ავტორი წერს, მას უჭირს ზუსტად განსაზღვროს ან აღწეროს საქართველოს დედაქალაქი – თბილისი ევროპული ქალაქია თუ აზიური. მისი შეფასებით, თბილისში შეხვდებით სხვადასხვა სტილის შენობებს, სხვადასხვა ეთნიკურ თუ რელიგიურ გავლენას. აქ წყნარ და მყუდრო ქუჩებს ხმაურიანი და გადატვირთული ქუჩები ცვლის.

ავტორი ურჩევს ტურისტებს მოინახულონ აბანოთუბანი, ნარიყალა, მრავალრიცხოვანი ტაძრები, სინაგოგა, მეჩეთი, მშვიდობის ხიდი და სხვა ღირსშესანიშნაობები.

განსაკუთრებულ ყურადღებას ავტორი ქართულ სამზარეულოზე ამახვილებს და საქართველოში ჩასულ სტუმრებს ურჩევს ხაჭაპური, ხინკალი, მწვადი, ნიგვზიანი ბადრიჯანი და ფხალი დაგემოვნონ.

ასი თვალი, ასი ყური...

უკანასკნელ პერიოდში ყინჩად მოთამაშე ინგლისური „ლივერპულის“ ბრაზილიელი ფეხბურთელი რობერტო ფირმინო შარშან დაოჯახდა და უკვე ორი შვილის მამაა. ალბათ, ხვდებით რომ მისი ეს „ფოკუსი“ იმ მარტივი მიზეზით მოხდა, რომ ცოლთან ლარისა პერეირასთან ურთიერთობა ქორწინებამდეც კოხტად გამოსდიოდა.

ლარისა პერეირა ცნობილ ფეხბურთელთა ცოლების იმ კატეგორიას განეკუთვნება, რომლებიც ბულვარულ მედიას არასოდეს გაურბიან და ცდილობენ, ცნობილი და ქომაგმრავალი ქმრების მოშურნეთ თავიანთი თვალსაამო გარეგნობის გარდა საკუთარი საინტერესო იმიჯითაც დაამახსოვრონ თავი. ლარისა პერეირა ერთგული ცოლისა და მოსიყვარულე დედის სახელს ატარებს და თავის ქმარზეც დღენიადაგ იმას ამბობს, ბრაზილიელი ფეხბურთელების მექალთანეობა ბლეფი და აბსურდია, რადგან რობერტოსათვის ჯერ არაფერი მსგავსი არ შემიმჩნევიაო. ასე დარწმუნებულიც ნუ იქნება ქალბატონი ლარისა, რადგან წლები მიდის, ურთიერთობები ხუნდება და თვალები კი ხშირად თავისით ცეცდება...

როსტომ რაჭველიშვილი

100 წლის გაზეთი თქვენს დახმარებას ითხოვს

დემოკრატიულ საქართველოსთან ერთად დაბადებულ, დღეს 100 წლის გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკას“ ფინანსურად უკიდურესად გაუჭირდა. სწორედ ამიტომ ითხოვს გაზეთი მამულიშვილთა უანგარო მხარში დგომას, ხელის გამართვას.

განათავსეთ რეკლამა ყველაზე საჭირო და სანდო გაზეთში და ამით ხელი შეუწყვეთ 100 წლის ყოველდღიური გამოცემის აღორძინებას.

ჩვენი ანგარიშია: №GE19TB7601536020100009. (შპს „ახალი საუკუნე“).

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
კოსტავას ქ. №21

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქოგულია
299-02-10
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება გამომცემლობა
„კოლორ პრესში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით.
ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

„საქართველოს რესპუბლიკა“ შენი გაზეთია, აუცილებლად გამოიწერე, იყიდე, წაიკითხე!

რეკლამა
„საქართველოს რესპუბლიკაში“
კოსტავას ქ. №21. 599 79-76-79; 568 82-09-84

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 2.6145; ევრო - 3.0341;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.4090;
100 რუბლი - 3.9850; თურქული ლირა - 0.4418;
აზერბაიჯანული მანათი - 1.5425;
1000 სომხური დრამი - 5.4086.

ამინდი 3 ოქტომბრისთვის
აღმოსავლეთი საქართველო:
ბარი - ღამე +12, დღე +29
მთიანი რაიონები - ღამე +7, დღე +25
დასავლეთი საქართველო:
ბარი - ღამე +15, დღე +27
მთიანი რაიონები - ღამე +9, დღე +25
თბილისი: ღამე +17, დღე +28

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 299-02-10,
599-79-76-79
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge